ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარიამ ბეკურაშვილი

ახალი ცივი ომის გეოსტრატეგიული ასპექტები-ბრძოლა არქტიკისთვის

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2018

ანოტაცია

ახალი ცივი ომის გეოსტრატეგიული ასპექტები-ბრძოლა არქტიკისთვის

დღესდღეობით მსოფლიოში სტაბილურობა დამოკიდებულია დიდ სახელმწიფოებს შორის ბალანსის შენარჩუნებაზე, რისთვისაც საჭიროა უზუნველყოფილ იყოს ამ ქვეყნების სიძლიერე, ეს თავის მხრივ მრავალ გარემოებას გულისხმობს თუმცა შეგვიძლია რამდენიმე მიზეზი განსაკუთრებულად გამოვყოთ. მაგალითად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა , ენერგოუსაფრთხოება, მაღალგანვითარებული შეიარაღება, ქვეყნის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობა და სხვა. როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკურ სიძლიერეზე და ენერგოუსაფრთხოებაზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ის ბუნებრივი რესურსები, რომლებზეც დამოკიდებულია უდიდესი ქვეყნების არსებობა, მილევადია. ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ბუნებრივ რესურსებზე წვდომა, მიზანმიმართულად იყენებენ მათ სხვა , ამ რესურსებს მოკლებული ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ წარმატებითაც. სწორედ იმის გამო, რომ ევროპას არ გააჩნია საკუთარი ბუნებრივი რესურსები და მისი ძირითადი ენერგომომარაგება რუსეთის რესურსებზეა დამოკიდებული, პირველადი მიზანი, სწორედ ამ რესურსების დივერსიფიცირებაა რათა უზრუნველყოფილ იქნეს ევროპის ქვეყნების უსაფრთხოება. , ამისათვის პირველ რიგში საჭიროა უსაფრთხო და სტაბილური წყაროს მოძიება და შემდეგ მისი ათვისება. სწორედ ამან განაპირობა უკანასკნელ პერიოდში არქტიკის პოტენციალის ზრდა და სწორედ ეს ფაქტი გახდა აღნიშნულ თემაზე მუშაობის ძირითადი მიზეზი.

თემის მიზანი არის იმ საფრთხეების გამოკვეთა, რის წინაშეც შეიძლება მსოფლიო დადგეს იმ შემთხვევაში თუ არქტიკის ტერიტორიის გამოყენების რეგულაცია არ მოხდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და ასევე შეიძლება თუ არა ველოდით ახალი ცივი ომის შეიარაღებულ კონფლიქტად ტრანსფორმაციას.

კვლევის ობიექტი არის ის სხვადასხვა მიმდინარე პროცესი, რაც ზრდის არქტიკის მნიშვნელობას და განაპირობებს ახალი ცივი ომის საფრთხეს, ასევე ექპერტები ვინც კარგად იცნობენ არსებულ საკითხს და კვლევები, რომლებიც განხორციელებულია ამ მიმართულებით.

კვლევის შედეგი არის მოვლენების განვითარების ორი სავარაუდო სცენარის შემუშავება. იმის დადგენა, თუ როგორ მოხდება მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების მიერ არქტიკის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების და სხვა გეოსტრატეგიული სარგებლის საკუთარი ამბიციებისამებრ განაწილება და პასუხის გაცემა კითხვაზე, იქნება თუ არა არქტიკა ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის დაპირისპირების მიზეზი.

Anotation

Geostrategic aspects of a New Cold War – fight for the Arctic.

Nowadays the world's stability depends on the balance between the large states, for which is necessary the strength of these states. This includes many circumstances; however we can pick out some special reasons. For example the economic situation of the country, energy security, high developed armament, geopolitical and geostrategic location of the country and act. When we are talking about the economic power and the energy security, we cannot deny the fact, that the natural resources which are the numerous number of the countries depended on are exhaustive. Countries which have the access to the natural resources are intentionally using them to influence the foreign policy of the countries which are depriving in these resources and this attempt is often successful. For that reason that Europe does not have its own natural resources and its main energy supply depends on Russian resources, the initial aim is to diversify these resources to protect the security of the European countries. First of all it is needed to find out safe and stable source and then is important to assimilate it. This is just the reason of the development of the Arctic potential in recent times and so this is the main reason for this work.

The aim of the work is to identify the threats that the world can face if the international organizations don't regulate the using of the Arctic territory and also can we expect the Cold War to be transformed into armed conflict.

The objects of the research are the different processes which are increasing the importance of the Arctic and causes the threat of the new Cold War. Also the experts who are familiar with this issues and the researches which are made in this direction.

The result of the research is to work out two conjectural scenarios of the developments. Also to determine how the world's large states will distribute natural resources and other geostrategic

benefits on the territory of Arctic according to their own ambitions and the last one, to answer the question if the Arctic is the reason for confrontation between the United States of America and Russia.

სარჩევი

ანოტაცია 1

Anotation 3

შესავალი 6

თავი I. არქტიკის რეგიონის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური თავისებურებების მიმოხილვა, ანალიზი 13

1.1. არქტიკის როლი და მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში 13

არქტიკის ნავთობისა და გაზის რესურსები 14

ეკონომიკური პოტენციალი 18

თევზჭერა 19

1.2. არქტიკის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი (მიდგომები და პრობლემები) 21

1.3. არა არქტიკული ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესები რეგიონის მიმართ 25

არა არქტიკული სახელმწიფოები 25

არქტიკა და ნატო-რუსეთის ურთიერთობა 30

თავი II . პოსტ ბიპოლარული ეპოქის არქტიკული ეპოპეა 33

2.1. რამ განაპირობა არქტიკის გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია 33

2.2 სავარაუდო სცენარი 36

ანალიზი 39

დასკვნა 46

შესავალი

„1946 წლის 6 მარტს აშშ-ში ვიზიტად მყოფმა ჩერჩილმა მისურის შტატის ქ. ფულტონში წარმოთქვა სიტყვა, რომელიც საბჭოთა კავშირში უმალ დასავლეთის მიერ „ცივი ომის“ გამოცხადებად აღიქვეს“ (აბაშიძე, 2009) 1991 წელს „ცივი ომი“ საბჭოთა კავშირის დაშლით, ოფიციალურად დასრულდა. თუმცა საკითხავია შეიძლება თუ არა რეალურად ვუწოდოთ მას დასრულებული. ვინაიდან, მსოფლიო პოლიტიკური სიახლეების გაცნობისას ხშირად ვაწყდებით ტერმინს- „ახალი ცივი ომი“. მისი დამკვიდრების ზუსტი თარიღის თქმა შეუძლებელია თუმცა შეგვიძლია გარკვეულ მოვლენებს დავუკავშიროთ, მაგალითად რუსეთის ინტერვენციას უკრაინაში 2014 წელს და არამარტო. უკვე ათეულობით წელია მსოფლიოს დიდი ქვეყნები ცდილობენ ძალაუფლების მოპოვებას და კიდევ უფრო გაძლიერებას იმისათვის, რომ კონკურენცია გაუწიონ სხვა ძლიერ ქვეყნებს. გამუდმებით მიმდინარებს შეიარაღებული რბოლა და ბრძოლა ბუნებრივი რესურსებისათვის რადგან დღესდღეობით, სწორედ ბუნებრივი რესურსები არის სასიცოცხლო წყარო ძლიერი ქვეყნებისთვის, რათა გავლენა მოიპოვონ სხვა სახელმწიფოებზე. რესურსები ამოწურვადია და რაც უფრო მცირდება მათი მარაგი , მით უფრო იზრდება მათი ფასი.

არქტიკის რეგიონი , ან უკიდურესი ჩრდილოეთი, ამ თვალსაზრისით, და არა მარტო, ცივი ომის დროსაც იდგა უსაფრთხოების დღის წესრიგში თავისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. ეს მნიშვნელობა შესუსტდა საბჭოთა კავშირის დაშლისა და ნატოსა და ვარშავის ბლოკის ქვეყნებს შორის კონფრონტაციის დასრულების შემდგომ. თუმცა მას შემდეგ, რაც კლიმატი შეიცვალა და დათბობა დაიწყო , ჩრდილოეთ რეგიონი ისევ მოექცა ნატოს უსაფრთხოების ინტერესებში. (Connolly, May 3, 2017)

არქტიკა იყო სტრატეგიული კონკურენციის ცენტრი ცივი ომის დროს, რუსეთის ჩრდილოეთის ფლოტისა და ბირთვული წყალქვეშა ნავების განლაგების არეალი. 1955 წლიდან 1990 წლების განმავლობაში 130 ბირთვული ცდა ჩაატარა საბჭოთა კავშირმა ახალი მიწის არქიპელაგის ტერიტორიაზე. (Connolly, May 3, 2017)

უკანასკნელი ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით, კლიმატური ცვლილებები უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ამას ადრე ფიქრობდნენ, რაც მნიშვნელოვანი იმპულსი იქნება არქტიკისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნებისთვის. გაზრდილი ადამიანური აქტივობა რეგიონში მეტწილად განპირობებულია სწორედ კლიმატური ცვლილებებით და შემდეგ არქტიკის მზარდი როლით გლობალურ ეკონომიკაში. (Gérard Duhaime and Andrée Caron) რამაც შესაძლოა გამოიწვიოს იგივე დაძაბულობა რაც იყო შექმნილი ცივი ომის რეგიონალური სტრატეგიული კონფრონტაციისას.

არქტიკის რეგიონი, ბოლო დროს გახდა მეტად საინტერესო საერთაშორისო ურთიერთობების რამდენიმე აქტორისთვის, მათ შორის გასათვალისწინებელია ჩინეთის დაინტერესება არქტიკის მიმართ, მიუხედავად იმისა რომ იგი არ არის არქტიკის მოსაზღვრე ქვეყანა. ეს დაინტერესება გამოწვეულია იმ კვლევებით, რომლებიც ჩატარდა იმ ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით, რომლებიც ყინულის ქვეშ იყო დამალული და ასევე გლობალური დათბობით, რამაც ეს რესურსები ხელმისაწვდომი გახადა.

მე-20 საუკუნის პირველი უდიდეს კონფლიქტისას, I მსოფლიო ომის დროს, არქტიკის რეგიონი გამოიყენებოდა სატრანსპორტო მიწოდებისათვის ამერიკის კონტინეტიდან ევროპაში. არქტიკა არ იყო საომარი შეტაკების ადგილი, თუმცა თამაშობდა მნიშვნელოვან როლს. II მსოფლიო ომის განმავლობაში, ტერიტორია გამოიყენებოდა ისევ იმისთვის, რომ ყოფილიყო კორიდორი რუსეთსა და დასავლეთს შორის, რათა მომხდარიყო ნედლეულის და რესურსების ტრანსპორტირება, თუმცა შემდეგ სიტუაცია დამძიმდა იმის გამო, რომ ნაცისტებმა მოახდინეს ნორვეგიის ოკუპაცია. ამავე დროს დაიწყო მილიტარიზაცია რეგიონში და სამხედრო ბაზების მშენებლობა. (Michael Walling)

არქტიკის მოსაზღვრე ქვეყნების ძლიერი სურვილია, კოოპერაციულად მიმართონ საერთო ძალები და გადაჭრან ტერიტორიული დისპუტი დიპლომატიური გზებით. თუმცა, არქტიკის საერთაშორისო დღის წესრიგში ხელახლა გამოჩენა და შესაძლებლობა რომ გააღვივოს

დაძაბულობა რუსეთსა და ნატოს შორის , ისევე როგორც ჩინეთის გაზრდილი დაინტერესება , შეიძლება გახდეს არქტიკის რეგიონის სტრატეგიული მეტოქეობის არენად ქცევის მიზეზი.

პოლარული ტერიტორიები გახდა ორ ზესახელმწიფოს შორის სამხედრო ესკალაციის ასპარეზი. რადარებით მეთვალყურეობიდან დაწყებული, კონტინენტთა შორისი ატომური რაკეტების განვითარებით, გადაადგილებითა და საზღვაო რაკეტების გამოცდით დამთავრებული.

არქტიკის სტრატეგიული მნიშვნელობა საგრძნობლად შეიცვალა ცივი ომის დასრულებასთან ერთად. ჯერ კიდევ 1987 წელს , მიხაილ გორბაჩოვის ინიციატივა არსებობდა , რომლის მიზანიც იყო არქტიკის ტერიტორიის საერთაშორისო მშვიდობის ზონად გადაქცევა. (Juha Käpylä & Harri Mikkola, 2015)საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ , სახელმწიფოებმა აქცენტი გააკეთეს ისეთ არასამხედრო უსაფრთხოების გამოწვევებზე, როგორიც არის გარემოს მდგომარეობის გაუარესება და ეკონომიკის ვარდნა. ახალი ფოკუსი არქტიკის რეგიონის ქვეყნებისთვის არის მდგრადი განვითარების საკითხი და ტექნიკური თანამშრომლობის გადაყვანა დაძაბულობის დეესკალაციაში იმ ტერიტორიაზე, სადაც ერთ დროს იყო ყველაზე მძლავრად შეირაღებული რეგიონი მსოფლიოში. ეს ყველაზე მეტად თვალსაჩინოა ხორცშესხმული არქტიკის საბჭოს, რეგიონალური ფორუმის მიერ განხორციელებულ პროცესებში, რომელიც ამაღლებს თანამშრომლურ, კოოპერაციულ მმართველობას რეგიონში, მაგრამ არ ერთვება სამხედრო საკითხებში.

მაინც, არქტიკის რეგიონი ყოველთვის რჩება ევრო- ატლანტიკური თავდაცვის სასიცოცხლო სტრატეგიულ რეგიონად. არქტიკის საბჭოს 8 წევრიდან, 5 არის ნატოს წევრი - კანადა, დანია, ისლანდია, ნორვეგია, და ამერიკის შეერთებული შტატები. (arctic-council.org, 2015) ნატოს კავშირს აქვს კონფლიქტური შეხედულებები რუსეთის გეგმებთან დაკავშირებით არქტიკაში და ზრდის შეიარაღებას რეგიონში. 2016 წლის ივლისის ვარშავის სამიტის განმავლობაში, ნატომ დაადასტურა თავისი მზაობა, რომ გაზარდოს დაცვა მთელ

თავის საზღვრებზე. ვარშავის ბოლო სამიტის კომუნიკე შეიცავდა ნატოს საკანონმდებლო დამოწმებას იმის თაობაზე, რომ გაძლიერებულიყო მისი საზღვაო მდგომარეობა უკიდურეს ჩრდილოეთში, ისევე როგორც გაზრდილოყო ალიანსის ყოვლისმომცველი სიტუაციური ინფორმირებულობა. მსგავსად, ყველა არქტიკის სახელმწიფოს აქვს ეროვნული არქტიკის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ასახავს გაზრდილ ინტერესებს რეგიონის მიმართ. მნიშვნელოვანი ეროვნულ ინვესტიციები განხორციელებულია დაზვერვაზე და ბალისტიკური რაკეტებით თავდაცვაზე. რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა არის საკვანძო პოზიცია ნებისმიერი სარაკეტო მუქარის წინააღმდეგ.

თუმცაღა, ყველა ეროვნული სტრატეგია ხაზს უსვამს მიმდინარე სტაბილურობას და მშვიდობიან თანამშრომლობას არქტიკის რეგიონში. ხუთივე არქტიკის ოკეანის მესაზღვრე სახელმწიფო მნიშვნელოვნად მიიჩნევს სახელმწიფოს სუვერენიტეტს როგორც ერთ- ერთ პრიორიტეტს. ეს ქვეყნები ახორციელებენ ეკონომიკურ და უსაფრთხოების ინტერესებს რეგიონში, რომლებმაც შესაძლოა პოტენციურად მოახდინონ გავლენა არსებულ განტვირთულ სტაბილურობაზე. მიუხედავად ამისა, არქტიკის მკაცრი კლიმატი და მოსაზღვრე ქვეყნების მოთხოვნები წარმოადგენს მისი მართვისა და თანამშრომლობის ძირითად გამოწვევას რეგიონში. ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარე საზღვაო საზღვრების დადგენასთან დაკავშირებული დისპუტი ეხება წყალქვეშა ლომონოსოვის ქედზე, რომელიც აკავშირებს რუსეთს , დანიას, და კანადას. ეს და სხვა ტერიტორიული საკითხები არქტიკაში, მიმოიხილება გაეროს ზღვის კანონის კონვენციით, რომელიც რთავს ნებას ქვეყნებს, რომ გამოიყენონ თავისუფალი ეკონომიკური ზონა მათი საზღვრიდან 200 საზღვაო მილის ფარგლებში. ასევე დამატებით, თავიანთ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში სახელმწიფოებს აქვთ მინიჭებული ექსკლუზიური უფლება, რომ გამოიყენონ მინერალური რესურსები მათ კონტინენტური შელფში საწყისი ზოლიდან არაუმეტეს 350 საზღვაო მილის ფარგლებში.

სურათი 1 *არქტიკის ტერიტორიაზე სახელმწიფოთა ექსკლუზიური ზონები*



IPCC- (intergovernmental Panel on Climate Change) -ის ბოლო სესიის რეპორტის მიხედვით 1980 წლიდან არქტიკა გლობალურ ნორმაზე ორჯერ მეტად თბება. უპრეცედენტო ნორმა რის გამოც დნება ყინული , ხსნის ახალ შესაძლებლობებს და გამოწვევებს, რასაც ძირითადი გავლენა ექნება რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობისთვის. NSIDC (The national Snow and Ice Data Centre,)

ზემოთხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, თემა მიზნად ისახავს სწორედ პოტენციური საფრთხეების გამოკვეთას და შეიარაღებული დაპირისპირების საფრთხის შესაძლებლობის განსაზღვრას, ვიანიდან არაერთი ომი თუ ლოკალური კონფლიქტი დაწყებულა სწორედ ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების გამო. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ არქტიკა, ტერიტორია რომელსაც საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია

როგორც ბუნებრივი რესურსების, ისე გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, გახდეს შემდგომი დაპირისპირების მიზეზი.

შემუშავდა სამი საკვლევი კითხვა:

1) რა მიზეზების გამო არის არქტიკის რეგიონი მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების ინტერესის სფეროში.
2) რამ განაპირობა არქტიკის რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ცვლილება გეოსტრატეგიული მნიშვნელობით.
3) შეიძლება თუ არა არქტიკა გახდეს შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზი.

იმისათვის, რომ კვლევამ შედეგი გამოიღოს საჭიროა ყველა იმ მიზეზის მიმოხილვა, რის გამოც არქტიკის პოტენციალი მუდმივად იზრდება. შემდგომ კი საჭიროა ამ მიზეზების დაჯგუფება გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული თავლსაზრისით, რათა ვიმსჯელოთ კონკრეტულად რამ განაპირობა არქტიკის რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ცვლილება გეოსტრატეგიული მნიშვნელობით. არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით და ექსპერტებთან ინტერვიუების შემდგომ კი შეიძლება ვივარაუდოთ გახდება თუ არა არქტიკა შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზი.

თემაზე მუშაობისას ჩატარდა თვისებრივი კვლევა, გენერალური ერთობლიობა განისაზღვრა საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე, ვინიდან საქართველოში აღნიშნულ თემაზე მომუშავე პირდაპირი პროფილის მქონე ექსპერტები არ არიან, შერჩევითი ერთობლიობა შედგენილნი იქნა საერთაშორისო ურთიერთობების, გეოპოლიტიკისა და გეოსტრატეგიის პროფესორებითა და ეროვნული უსაფრთხოების ექსპერტებით. გამოყენებულია შერჩევის ალბათური მეთოდები. ყოველი ექსპერტი ამოირჩა მათგან დამოუკიდებლად. გამოყენებულია თანმიმდევრული შერჩევა, რის საფუძველზეც კვლევის პროცესში გამოვლინდა მომდევნო ექსპერტის გამოკვლევის საჭიროება. ექსპერტთა რაოდენობის ზრდა გაგრძელდა მანამ, სანამ არ მოხდა საკვლევ კითხვებზე პასუხის გაცემა.

ინტერვიუები ჩატარდა ექსპერტების სამუშაო ადგილზე, ძირითადად უნივერსიტეტებში და კვლევით ცენტრებში.

ჩატარდა პირისპირ ინტერვიუ, დროის ერთი კვირიან მონაკვეთში რათა საერთაშორისო პოლიტიკური ფონი ყოფილიყო ერთნაირი -რადიკალური ცვლილებების გარეშე.

შედგენილი იყო სადისკუსიო გეგმა, რათა სხვადასხვა ინტერვიუს დროს სადისკუსიო თემების თანმიმდევრობა ყოფილიყო ერთნაირი. შეკითხვების ტიპიც იყო ღია და ნაწილობრივ სტრუქტურირებული, რათა შეგვძლებოდა უფრო ღრმა და დეტალური პასუხების მიღება.

თავი I. არქტიკის რეგიონის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური თავისებურებების მიმოხილვა, ანალიზი

1.1. არქტიკის როლი და მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში

არქტიკა, მსოფლიოს სხვა რეგიონებთან შედარებით უფრო ნაკლებ ყურადღებას იპყრობს. ისტორიულად, არქტიკა თავისი მკაცრი კლიმატური პირობების გამო გეოპოლიტიკური წნეხის ქვეშ არ ექცეოდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა წარმოაჩინა არქტიკული რეგიონის მნიშვნელობა დიდ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის განახლებისა და თანამედროვე სატრანსპორტო ტექნოლოგიების სატვირთო გადაზიდვების მსოფლიო ჯაჭვის წარმოქმნის ფონზე. ჩრდილოეთ ამერიკაში, კანადასა და ამერიკას უნდა განემტკიცებინათ სატრანსპორტო კავშირები თავიანთ ზე პოლარულ ტერიტორიებზე და გაეძლიერებინათ მათზე დაკვირვება, იაპონიის თავდასხმებისას ალეუტის კუნძულებზე, რომლებიც ემიჯნებიან ალიასკას. ჩრდილოეთ ატლანტიკაში, გრენლანდია და ისლანდია იქცნენ მთავარ ტრანზიტულ ქვეყნებად მოკავშირეთა არმიებისათვის, თვითმფრინავებისათვის და ტვირთების ტრანსპორტირებისათვის ევროპაში. აგრეთვე იქვე იყო შექმნილი ბაზები პატრულირებისათვის იმ მიზნით, რომ არ შეეშვათ გერმანიის წყალქვეშა ნავები ატლანტიკაში . საბჭოთა კავშირისთვის ჩრდილოეთ საზღვაო გზა გახდა ის რგოლი, იმ ჯაჭვში, რომელიც ემსახურებოდა მოკავშირეების პროდუქტების გადაზიდვას მურმანსკის პორტში და პრინციპულად წარმოადგენდა „სიცოცხლის გზას“ რათა არ დაეშვათ ჰიტლერული გერმანიის და მისი მოკავშირეების შემოჭრა.

ცივი ომის დროს არქტიკაზე ხდებოდა გეოპოლიტიკური წნეხი. ბირთვული ომის შიშით ხდებოდა სამხედრო ძლიერების ზრდა, რომელშიც ჩართული იყო წყალქვეშა და საჰაერო პატრულირება, სამხედრო-ტაქტიკური სწავლებები, რადარების დაყენება და სამხედრო ბაზების მშენებლობა, როგორც საბჭოთა კავშირის და მისი სატელიტების , ისე ამერიკის

შეერთებული შტატებისა და ნატოში მისი მოკავშირეების მხრიდან. ცივი ომის დასრულების შემდეგ (1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ) რვა პრი პოლარულმა სახელმწიფომ - კანადამ , ამერიკამ, რუსეთმა, დანიამ, შვედეთმა, ისლანდიამ, ფინეთმა და ნორვეგიამ, 1990-იან წლებში უარი თქვეს სამხედრო ხარჯებზე და სწავლებებზე ამ რეგიონში. (Wezeman, 2016) ბუნებრივ მინერალებზე დაბალი ფასების გამო, ამ პერიოდში, სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვა და მოპოვება საკმაოდ დაბალ დონეზე იყო განვითარებული, განსაკუთრებით ნავთობის. ამავე დროს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ხანგრძლივი დაპირისპირების დამთავრებამ ნათელ ჰყო არქტიკის ეკოლოგიისა და მდგრადი განვითარების პრობლემები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უსაფრთხოების მკაცრი ტრადიციული პრობლემები (ეკონომიკური და სამხედრო) გადავიდნენ მეორე რიგში, მაგალითად კანადას მოუხდა რეკულტივაცია მოწამლული ნიადაგისა მას შემდეგ რაც წყობიდან გამოიყვანეს რადარები, ადრინდელი რადიოლოკაციური აღმოჩენის ხაზები, რომლებიც დამონტაჟებული იყო, 1950-ან წლებში. კანადის მთავრობამ დახარჯა 460 მილიონი დოლარი გამწმენდ სამუშაოებზე იმ ადგილებში, სადაც განლაგებული იყო 21 ხაზი, და ეს პროცესი 2014 წელს დასრულდა. ამავე დროს, რუსეთის ახალ მთავრობას მოუწია უტილიზაციის პრობლემის გადაწყვეტა, ჩრდილოეთის ფლოტის მოძველებული ატომური წყალქვეშა ნავებისა და რამდენიმე ტონა გამოუყენებელი საწვავის, რომლების განლაგებული იყო ანდრეევის ყურეში. ამ წყალქვეშა ნავების უტილიზაციამ მოითხოვა რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის რუსეთის, ამერიკის, ნორვეგიისა და ბოლო შვიდეულის ქვეყნების ძალისხმევის გაერთიანება და ამ სამუშაოების დიდი ნაწილი ისევ გრძელდება. ზოგიერთი შეფასების საფუძველზე 2017 წელს მოზიდული იყო 129 მილიონი დოლარი 11 ქვეყნიდან, ანდრეევის ყურეში გაწმენდითი სამუშაოების დასასრულებლად. (Connolly, May 3, 2017)

არქტიკის ნავთობისა და გაზის რესურსები

იმის გამო, რომ დედამიწაზე ენერგორესურსები სულ უფრო მცირდება, უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება არამარტო ალტერნატიული ენერგორესურსების მოძიების საკითხი, არამედ რთულად მოპოვებადი რესურსებისათვის საჭირო ტექნოლოგიების განვითარების საკითხიც. უპირველეს ყოვლისა ამას მიეკუთვნება ფიქლის გაზი, და ასევე ის ნავთობი, რომელიც ჩალექილია არქტიკის კონტინენტურ შელფში. (Hobart M. King, Ph.D., RPG)

არქტიკის ნავთობისა და გაზის რესურსების პოტენციალი ნიშნავს იმას, რომ რეგიონი მოექცა ყურადღების ცენტრში და არქტიკის მომავალი ეკონომიკური მომგებიანობა დიდი მოლოდინის საგანი გახდა. იმისათვის რომ, არქტიკაში ნავთობისა და გაზის მოძიების და განვითარების პერსპექტივების ნათელი სურათი დავინახოთ, საჭიროა ყურადღებით განვიხილოთ შემდეგი საკითხები: (Matters, June 2015)

- სავარაუდოდ, ნავთობის და გაზის კომპანიების რა რაოდენობას შეიძლება ველოდოთ არქტიკის რეგიონიდან;
- ამ მოლოდინებთან დაკავშირებული შეზღუდვები და გაურკვევლობები;
- არქტიკული ქვეყნების ფარგლებში არქტიკული ნავთობისა და გაზის რესურსების კონკურენტუნარიანობა, ვინაიდან ყველაზე არქტიკულ ქვეყნებში მხოლოდ მათი მიწის და წყლის მასების ნაწილი მდებარეობს არქტიკაში.
- ეს გამოხატავს მნიშვნელოვან პოლიტიკურ განსხვავებებს არქტიკულ ქვეყნებს შორის როდესაც საქმე ეხება არქტიკის ნავთობის და გაზის რესურსების ინვესტიციების განხორციელებას და განვითარებას
- შესაბამისი გლობალური ტენდენციები განსაზღვრავს არქტიკული ნავთობისა და გაზის რესურსების ეკონომიკურ პოტენციალს.

ყველაზე ხშირად მოხსენიებული წყარო არქტიკული ნავთობის და გაზის რესურსების შეფასებისას, არის 2008 წლის ამერიკის შეერთებული შტატების გეოლოგიური კვლევა, ამ კვლევის მიხედვით არქტიკა ფლობს დაახლოებით 22 % მსოფლიოს აღმოუჩენელი

ნავთობის და ბუნებრივი გაზის რესურსების. ამ რესურსების 84 % იქნება ოფშორული და ხუთი არქტიკული სახელმწიფოს კონტინენტურ შელიფში. (Arnfinn Jørgensen-Dahl, 2010)

ცხრილი 1 *არქტიკის ნავთობის რეზერვები 1987 – 2007*

ქვეყანა	1987 წლის ბოლო მილიარდი ბარელი	1997 წლის ბოლო მილიარდი ბარელი	2006 წლის ბოლო მილიარდი ბარელი	2007 წლის ბოლო მილიარდი ბარელი
აშშ	35.4	30.5	29.4	29.4
კანადა	11.7	10.7	27.7	27.7
რუსეთი	n/a	n/a	79.3	79.4
ნორვეგია	6.6	12.0	8.5	8.2
არქტიკული სახელმწიფოები	n/a	n/a	144.9	144.7
მთელი მსოფლიო	910.2	1069.3	1239.5	1237.9

ცხრილი 2 *არქტიკის გაზის რეზერვები 1987 – 2007*

ქვეყანა	1987 წლის ბოლო ტრილიონი კუბური მეტრი	1997 წლის ბოლო ტრილიონი კუბური მეტრი	2006 წლის ბოლო ტრილიონი კუბური მეტრი	2007 წლის ბოლო ტრილიონი კუბური მეტრი

აშშ	5.30	4.74	5.98	5.98
კანადა	2.69	1.81	1.62	1.63
რუსეთი	n/a	45.17	44.60	44.65
ნორვეგია	2.29	3.65	2.89	2.96
არქტიკული სახელმწიფოები	n/a	55.37	55.09	55.22
მთელი მსოფლიო	106.86	146.46	176.22	177.36

მნიშვნელოვანი საკითხი არქტიკის ნავთობისა და გაზის პოტენციალის გარკვევისას არის ამ რესურსების კონკურენტუნარიანობა არქტიკაში. კანადის და ამერიკის ნავთობის და გაზის რესურსები შედარებით არაკონკურენტუნარიანია ქვეყნის შიგნით.

სურათი 2 *არქტიკის გაზისა და ნავთობის რესურსები*



ეკონომიკური პოტენციალი

არქტიკის ოკეანის ხელმისაწვდომობის გაზრდამ, ყინულის შემცირებამ გაზარდა ინტერესი რეგიონის ბუნებრივი რესურსების გამოყენების მიმართ. ეს ძირითადად კავშირშია :

იმასთან რომ, ეს ბუნებრივი რესურსები, გაზი და ნავთობი მდებარეობს 5 არქტიკის მოსაზღვრე სახელმწიფოს კონტინენტურ შელფში.

ახალი თევზჭერის არეალის განვითარება ჩრდილოეთის თევზჭერის ტერიტორიებზე, ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში, არქტიკის ქვეყნებში და უკიდურესი არქტიკის ოკეანეში პოტენციურად ასევე აუთვისებელ საერთაშორისო წყლებში.

რეგიონში დაგეგმილი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ახალი გადაზიდვების მარშრუტების გამოყენებაზე ჩრდილო აღმოსავლეთისა და ჩრდილო დასავლეთის მიმართულებით, ვაჭრობისა და ტურიზმის მიზნით. ყინულის შემცირება იწვევს ეკონომიკური საქმიანობის გაფართოებას რეგიონში, ეს რთული რეალობაა და მოითხოვს ენერგეტიკის , გადაზიდვების და თევზჭერის ეკონომიკური პოტენციალის საფუძვლიან შესწავლას , მათ შორის გლობალური აქტორებისა და ინტერესების გავლენას.

არქტიკის ეკონომიკური საბჭო აერთიანებს იმ კორპორაციებსა და ადგილობრივ და პარტნიორულ ჯგუფებს, რომლებსაც აქვთ ეკონომიკური ინტერესი არქტიკაში. მისი წევრობა მოიცავს სამ ბიზნეს წარმომადგენელს თითოეული არქტიკული სახელმწიფოდან და სამ წარმომადგენელს თითოეული მუდმივი პარტნიორი ორგანიზაციიდან. თუმცა საბჭო ღიაა მსოფლიოს სხვა ისეთი წევრებისთვისაც ვისაც არ ექნება ხმის უფლება კენჭისყრისას.

თევზჭერა

არქტიკის ყინულის დნობა და წყლის ტემპერატურის ცვლილება ასევე ხსნის მსოფლიოს უმდიდრეს თევზის საცავებს. რაც გავლენას მოახდენს არქტიკაში კომერციული მეთევზეობის განაწილებასა და სიუხვეზე. მრავალი ექსპერტის მიერ იქნა განხილული გადაჭარბებული თევზჭერის საკითხი და მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ აეკრძალათ თევზჭერა არქტიკის საერთაშორისო წყლებში. შეთანხმება არ კრძალავს თევზჭერას ტერიტორულ წყლებში, მოსახლეობისათვის საარსებო რაოდენობით, არქტიკის გასწვრივ და რუსეთში ან თევზსაჭერი გემებით ოპერირებას ყინულისგან თავისუფალ წყლებში ბარენტის ზღვაში. ევროპარლამენტის წევრი სახელმწიფოების ბოლო ანგარიშში

ვარაუდობენ, რომ 2050 წლამდე, კლიმატის ცვლილებების შედეგად, უხეშად რომ ვთქვათ ჩრდილოეთ ატლანტიკური თევზჭერა გაიზრდება 30 %- ით.

2017 წელს, ცხრა ძირითადი თევზჭერით დაინტერესებული ქვეყანა (კანადა, რუსეთი ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია ისლანდია, დანია სამხრეთ კორეა(და ევროკავშირი, მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ ცენტრალურ არქტიკულ ოკეანეში კომერციული თევზჭერა აეკრძალათ მინიმუმ მომდევნი 16 წლის განმავლობაში. რაც მეცნიერებს შესაძლებლობას მისცემს, რომ გააცნობიერონ რეგიონის საზღვაო ეკოლოგია და კლიმატური ცვლილებების

პოტენციური ზემოქმედების შედეგები. (Hoag, 2017)

ფიგურა 3 ***არქტიკის თევზის მარაგები***



1.2. არქტიკის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი (მიდგომები და პრობლემები)

ცივი ომის დასრულების შემდეგ, არქტიკულმა ქვეყნებმა დაიწყეს იმაზე ფიქრი, თუ როგორ გადაეწყვიტათ ეკოლოგიური და მდგრადი განვითარების პრობლემები და 1990 -იან წლებში შეიქმნა რამდენიმე მრავალმხრივი ორგანიზაცია, რომელთა შორისაც მთავარი იყო არქტიკული საბჭო. არქტიკულ საბჭოში, რომელიც შეიქმნა 1998 წელს, შევიდა რვა პრი პოლარული სახელმწიფო , საბჭო გახდა 1996 წელს ოტავის დეკლარაციის გაგრძელება და მისი მიზანი იყო, რომ ეპოვათ ორგანიზაციის, თანამშრომლობის, კოორდინაციის და ურთიერთმოქმედების საშუალებები არქტიკულ სახელმწიფოებს შორის. (Report of Senior Arctic officials to the Arctic Council, 1998) არქტიკის საბჭო ისახავს მიზნად ორ ამოცანას: გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას. საბჭოში არ განიხილება უსაფრთხოების ან თავდაცვის, ვაჭრობის ან იმიგრაციის საკითხები. საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

იმის საპასუხოდ, რომ დამტკიცებულიყო როგორც მშვიდობის და თანამშრომლობის ზონა, არქტიკის მოსაზღვრე სახელმწიფოებმა ჩამოაყალიბეს შეხვედრის ადგილი, კოოპერაციული მთავრობა. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები რეგულირდება არქტიკის საბჭოს მეშვეობით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის ზღვის კანონით. იმისათვის რომ მართული იყოს საზღვაოსნო საქმიანობების ზრდასთან დაკავშირებული რისკები, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ 2017 წლის პირველ იანვარს, ძალაში შეიყვანა აუცილებელი პოლარული კოდი გემებისთვის, რომლებიც ოპერირებენ არქტიკის და ანტარქტიდის წყლებში.

ის ფაქტი, რომ არ არსებობს საერთაშორისო არქტიკის მმართველობითი ხელშეკრულება, უზრუნველყოფს მოქნილობას, არქტიკის გამოწვევებში. ამრიგად თანამშრომლობა არქტიკის მესაზღვრე სახელმწიფოებს შორის არის პოზიტიური, მაგალითად ლომონოსოვის ქედის კონფლიქტთან დაკავშირებული პროცედურები. ის ფაქტი, რომ

საკმაოდ დიდია არქტიკის არა მოსაზღვრე ქვეყნების დაინტერესება, მაგალითად ჩინეთის, განაპირობებს იმას, რომ არქტიკის ქვეყნებმა გააძლიერონ ის ნორმატიული აქტები, რომელიც დაკავშირებულია არქტიკის რეგიონთან და რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს საერთაშორის ინვესტიციების ჩადებას და განვითარებას. გრძელვადიან პერიოდში, არქტიკის საბჭოს მოქნილი სტრუქტურა და არა შესაბამისი ნორმები შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ განახლებული საერთაშირისო ინტერესების ფონზე რეგიონში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები დაარეგულიროს. არქტიკის საბჭოს ბოლოდროინდელი მოლაპარაკებების მიუხედავად, ორ პირველად სავალდებულო შეთანხმებასთან დაკავშირებით, არქტიკის მმართველობითი სისტემა არ არის გამყარებული ყოველმხრივი და სავალდებულო საერთაშორისო ნორმატიული აქტებით.

მიუხედავად არსებული სამართლებრივი ჩარჩოსი, ბევრი ექსპერტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ეს მარეგულირებელი სისტემა და ზედამხედველობის ინსტიტუტები დაარსებულია რბილ სამართლებრივ სტატუსზე, დაფინანსების სისტემებზე და კონსესუსის საფუძველზე. კანონმდებლობა და ინსტიტუციონალური მექანიზმები არ შეესაბამება რაიმე სერიოზულ დაძაბულობას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას. მაგალითად, არქტიკული საბჭოს არ გააჩნია მარეგულირებელი მანდატი და ვერ ავალდებულებს თავის გადაწყვეტილებების აღსრულებას წევრ სახელმწიფოებს. დღეისათვის, მხოლოდ ერთი რეალური არქტიკის მომცველი შეთანხმებაა გაფორმებული - 1974 წლის პოლარული დათვების დაცვის შესახებ შეთანხმება. გარდაუვალ კლიმატის ცვლილება უბიძგებს ყველა მონაწილეს, რომ მეტი ყურადღებით შეადგინონ ნორმატიული ჩარჩო, რადგან არქტიკულმა საბჭომ ამჟამად ვერ უძრუნველყოფს რეგიონის მდგრადობას. ევროკავშირი და სახელლმწიფოების რაოდენობის ზრდა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საბჭოს შესაძლებლობს იმ ფუნქციების შესრულებსათან დაკავშირებით, რომლებიც მოსალოდნელია რეგიონის მართვისას. თუმცა ფაქტობრივად, არქტიკის ხუთმა სახელმწიფომ განაცხადა, რომ ისინი ვერ ხედავენ ახალი

ყოვლისმომცველი სამართლებრივი რეჟიმის ჩამოყალიბების ინტერესს. (The Kremlin's Arctic Dreams.)

რამოდენიმე წლის განმავლობაში, ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მიერ, არქტიკული ხელშეკრულების იდეა, რომელიც დაფუძნებული იყო 1959 წლის ანტარქტიდის ხელშეკრულებისა და 1983 წლის მადგრიადის გარემოსდაცვითი ხელშეკრულების პროტოკოლის მოდელზე, შეთავაზებული იყო როგორც საფუძველი, რეგიონისათვის ძლიერი ინსტიტუციური სტრუქტურის შესაქმნელად, მაგრამ არ იყო ზუსტად გაწერილი ეს იდეა. აშკარაა, რომ არქტიკა და ანტარქტიდა გეოგრაფიულად ფუნამენტურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთი ყინულით დაფარული ოკეანეა, მეორე კი ყინულოვანი კონტინენტია, ერთი მოსახლეობით დასახლებულია, მეორე კი არა. ისინი ასევე სამართლებრივი თვალსაზღისით არის ძალიან განსხვავებულები. არქტიკის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დიდი სუვერენული სახელმწიფოების საზღვრებშია, მაშინ როცა ანტარქტიდაზე მოთხოვნა "გაყინულია". ამრიგად პრაქტიკულად ანატრქტიდის მოდელი ვერ იქნება არქტიკის რეგიონალური ლეგალური შემაკავშირებელი სისტემისთვის რელევანტური .

აქვე მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჰანსის კუნძულის მაგალითი, რომელიც ვისკის ომის სახელით არის ცნობილი.

შორეული არქტიკის ჩრდილოეთით მდებარეობს უნაყოფო და უკაცრიელი ნახევარი კვადრატული მილის ჰანსის კუნძული, რომელსაც არ გააჩნია არანაირი ბუნებრივი რესურსი და არის ორი ქვეყნისათვის სადაო ტერიტორია. მიუხედავად ამისა, ეს უცნაური აუხსნელი კუნძული 1930 იანი წლებიდან არის კანადასა და დანიას შორის არსებული უთანხმოების ცენტრი. მსოფლიო ატლასის მიხედვით , ჰანსის კუნძული მდებარეობს 22 მილიან ნაირის სრუტის შუაგულში , რომელიც კანადიდან დანიის ავტონომიურ ტერიტორიას , გრენლანდიას ჰყოფს. საერთაშორისო სამართლის თანახმად , ყველა ქვეყანას აქვს უფლება ,

გაავრცელოს თავისი იურისდიქცია საკუთარი საზღვრიდან 12 მილის ფარგლებში. ტექნიკურად, ჰანსის კუნძული მდებარეობს როგორც კანადის ისე დანიის წყლებში. 1933 წელს ერთა ლიგის საერთაშორისო მუდმივმოქმედმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ კუნძული იყო დანიის ტერიტორია. თუმცა მეორე მსოფლიო ომისა და ცივი ომის პერიოდში ამ კუნძულმა აქტუალობა დაკარგა. 1984 წელს ნადიის მინისტრი გრენლანდიის საკითხებში ეწვია ჰანსის კუნძულს და დანიის დროშა აღმართა და დატოვა ნოტა ტექსტით: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება დანიის კუნძულზე“ ერთ ბოთლ ბრენდთან ერთად. მას შემდეგ ორ ქვეყანას შორის მიმდინარეობს „ ვისკის ომი“ ჰანსის კუნძულის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ქვეყანას დღემდე არ თანხმდება ამ კუნძულის სტატუსთან დაკავშირებით, მათ შეძლეს, რომ იუმორის გრძნობა შეენარჩუნებინათ. დანიის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, პიტერ ტაქსო იენსენმა განაცხადა, რომ როდესაც კუნძულზე იქნებიან დანიის სამხედროები, ისინი დატოვებენ შნაფსის ბოთლს, ხოლო როდესაც კანადის სამხედროები იქნებიან ისინი დატოვებენ კანადის კლუბის ბოთლს ნიშნით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება კანადაში.

ამჟამად არსებობს გეგმა, რომლის მიხედვითაც, ჰანსის კუნძული შესაძლოა გახდეს საზიარო კანადისა და დანიისათვის და მათ ერთობლივად განახორციელონ მისი მართვა. (Bender, 2016)

ამ მაგალითს ორი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. პირველი, ვინაიდან კუნძული დაუსახლებელია და ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით არანაირ სარგებელს არ ელოდებიან კანადა და დანია, შესაძლოა ამის გამო არ სცდება იუმორის ფარგლებს ვისკის ომი. რაც შეეხება მეორე განმარტებას, შესაძლოა სწორედ ეს იყოს არქტიკულ ქვეყნებს შორის არსებული ტერიტორიული დისპუტების მოგვარების მცირე მოდელი.

1.3. არა არქტიკული ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესები რეგიონის მიმართ

არა არქტიკული სახელმწიფოები

არა არქტიკულ სახელმწიფოებს საკმაოდ დიდი ინტერესი აქვთ რეგიონის მიმართ ეკონომიკური შესაძლებლობის გამო. თევზჭერა, ნაოსნობა და ბუნებრივი რესურსები ქმნის ახალ გეოპოლიტიკურ გამოწვევებს , და აუცილებელია მათი მართვა ძალიან დიდი სიფრთხილით. ეს გამოწვევები გულისხმობს როგორც უსაფრთხოების საკითხს (სამხედრო შენაერთების განლაგებას არქტიკის ტერიტორიაზე), ისე სამომავლოდ დედამიწაზე დარჩენილი უზარმაზარი, ხელუხლებელი ნავთობის მარაგის გამოყენებას .

როგორც ევროკავშირის, ისე აზიის ქვეყნები გამოთქვამენ გააქტიურების სურვილს რეგიონში, რისკენაც ეკოლოგიური, ეკონომიკური, სავაჭრო ფაქტორები და სამხედრო პოტენციალი უბიძგებს.

ჩინეთი: იკვეთება ჩინეთის ინტერესები: მისი არქტიკული პოლიტიკის მთავარი ამოცანა არის ის, რომ არ ჩამორჩეს ჩრდილოეთის რესურსებით მდიდარ პოლუსს მათ მართვაში და უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნილებები. ჩინეთი სასარგებლო წიაღისეულს ამუშავებს სხვადასხვა არქტიკულ ქვეყნებთან პარტნიორობით. მაგალითად პროექტი „Ямал СПГ“ , რომლის ღირებულება 27 მილიარდ დოლარს შეადგენს, 29,9 % კონტროლდება ჩინური კომპანიის მიერ. ასევე დიდია ჩინეთის გავლენა გრენლანდიაში თუთია-ცინკის წიაღისეულის მოპოვების პროექტზე “Citronen”, რომელმაც იქაური მოსახლეობის გაღიზიანება გამოიწვია, ვინაიდან კომპანიამ სამუშაოების შესასრულებლად ათასობით ჩინელი მუშა ჩაიყვანა. (Chen Junsong, 2017)

ჩინეთისთვის არქტიკის ბუნებრივ რესურსებზე წვდომა მხოლოდ ერთ ერთია იმ მოტივთა შორის, რის გამოც არქტიკაში გავლენის მოპოვებას ცდილობს. ჩინური ექსპორტის 90%-

ის გადაზიდვა ხდება ზღვით, ჩინეთის ოფიციალური პირები განიხილავენ არქტიკული კორიდორის პოტენციალს და ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელს უწოდებენ „ოქროს წყლის არტერიას“. (Fert-Malka, 2017)

2017 წელს, როგორც "Newsweek" წერდა , ჩრდილოეთის მარშრუტის ყინულისგან გათავისუფლება შეამცირებს ჩინური ტვირთების ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილ დანახარჯებსა და დროს, თუ რა თქმა უნდა ის დაბრკოლებები, რასაც აწყდება ჩინური მხარე, აღმოიფხვრება, მაგალითად: ყაჩაღობა, რეგიონული არასტაბილურობა, და ინფრასტრუქტურული შეზღუდვები. თავისი ლოჯისტიკური პრობლემების მოსაგვარებლად, ჩინეთმა ურთიერთობა დაალაგა ისლანდიასთან მას შემდეგ, რაც 2013 წელს მიიღო დამკვირვებლის სტატუსი არქტიკის საბჭოში. იმავე წელს პეკინმა ხელი მოაწერა რეიკიავიკთან თავისუფალ ვაჭრობაზე შეთანხმებას (პირველი ამგვარი შეთანხმება ჩინეთსა და ევროპულ ქვეყანას შორის).

ბუნებრივი რესურსების მოპოვება და სავაჭრო ზღვაოსნობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის სხვა ინტერესებთან, რომლებიც დაკავშირებულია ეკოლოგიურ კვლევებთან. უკანასკნელი ორი ასეული წლის განმავლობაში პეკინი ინვესტირებას ახდენს არქტიკაში საზღვაოსნო და სახმელეთო ლაბორატორიულ კვლევებში. 2004 წელს ნორვეგიის არქიპელაგზე სვალბარდში, გაიხსნა პოლარული კვლევების სადგური „ყვითელი მდინარე“, კიდევ 60 მილიონი დოლარი დაიხარჯა ჩინურ ნორვეგიული კვლევების ცენტრის მშენებლობაზე შანხაიში . 2017 წელს ჩინურმა ყინულმჭრელმა განახორციელა პირველი გასვლა ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელით, და ზოგიერთმა არქტიკულმა დამკვირვებელმა ეს სამეცნიერო მისია შეაფასა როგორც ჩინეთის სერიოზული პოლიტიკური განზრახვა იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთში გახდეს მსხვილი მოთამაშე. (Lasserre, 2010)

ინდოეთი: ჩინელი მეზობლების მსგავსად , ინდოეთსაც აქვს მეცნიერული, ეკოლოგიური, სავაჭრო და სტრატეგიული ინტერესები არქტიკაში. 2007 წელს ინდოეთმა დაამტკიცა

არქტიკული კვლევების თავისი პროგრამა, რეგიონში კლიმატის ცვლილებების და მათი ინდოეთზე გავლენის, აგრეთვე არქტიკული ყინულის დნობის ზემოქმედების შესასწავლად ზღვის დონეზე, ვინაიდან ასეულობით მილიონი ადამიანი ცხოვრობს დაბლობ სანაპირო რეგიონებში და იწვევს ამ ქვეყნების შეშფოთებას. იმავე წელს ქვეყანამ გახსნა პირველი სამეცნიერო ბაზა არქტიკაში სახელწოდებით „ხიმადრი“ . ნორვეგიის არქიპელაგზე სვალბარდში. ინდოეთი, როგორც ჩინეთი, მიისწრაფოდა მიეღო დამკვირვებლის სტატუსი არქტიკის საბჭოში, და ამ მიზანს 2013 წელს მიაღწია. პეკინის მსგავსად, დელიც მიისწრაფის იმისკენ რომ გავლენა მოახდინოს არქტიკის მართვის სისტემაზე და ავითარებს პარტნიორობას თანამშრომლობისათვის, რომელსაც შეუძლია უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა არქტიკაში.

ენერგეტიკულ ფრონტზე დელი განიხილავს არქტიკაში ენერგომატარებელი საბადოების დამუშავებას, რაც სამომავლოდ, ენერგორესურსების უკმარისობის შემთხვევაში აუცილებელი ელემენტი იქნება პრობლემის გადასაწყვეტად. ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, მას შემდეგ, რაც მან გახსნა თავისი ეკონომიკა 1990 იან წლების დასაწყისში, ნახშირწყალბადების ნედლეულის უკმარისობამ შეიძლება შეამციროს ეკონომიკური ზრდა. 2013 წლის ბოლოს ინდოეთმა და რუსეთმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება პარტნიორობის შესახებ, ნავთობის საბადოების დამუშავების მიზნით პეჩორის ზღვაში, რუსეთის ჩრდილო დასავლეთში. გაზპრომის 30 ნავთობის საბადოს 40 წლიანი გამოცილება დიდ ფასეულობას წარმოადგენს არქტიკის ზღვის აკვატორიაში ნავთობისა და გაზის მოპოვების თვალსაზრისით. (India and the Arctic, 2013)

იაპონია და სამხრეთ კორეა: აღმოსავლეთ აზიის ერ ორი სახელმწიფო მიილტვის ტრანს არქტიკული სანაოსნო მარშრუტებისაკენ, ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკისათვის. რაც შეეხება სამხრეთ კორეას, რომელმაც 2013 წელს მიიღო დამკვირვებლის სტატუსი არქტიკის საბჭოში, იგი არის ტვირთების მსხვილი ექსპორტიორი ევროპაში, და ასევე არის გემთმშენებელი ქვეყანა. მისთვის არქტიკა გახდა შესაძლებლობა

გამხდარიყო ლიდერი ყინულმჭრელების მშენებლობაში და თავისი მაღალტექნოლოგიური საქონლის სწრაფ ტრანსპორტირებაში ევროპის ბაზარზე. (Institute, 2013)

რაც შეეხება იაპონიას, მან აგრეთვე 2013 წელს მიიღო დამკვირვებლის სტატუსი. ტოკიო უკიდურესად დაინტერესებულია იშვიათ მეტალთა მიწოდების დივერსიფიკაციით, რაზეც ჩინეთმა პრაქტიკულად მონოპოლია დაამყარა. 2016 წელს იაპონიის სპეციალურმა ელჩმა არქტიკის საქმეებთან დაკავშირებით კაზუკო შირაიშიმ განაცხადა, რომ იაპონია დაინტერესებულია მეცნიერული კვლევებით, ჩრდილოეთის ზღვის გზით და „იამალ LNG"(გათხევადებული ბუნებრივი გაზი) პროექტით. (Hammond, 2017) თუმცა ეს პროექტი, რომლის ღირებულებაც 27 მილიარდ დოლარს შეადგენს , ამჟამად წარმოადგენს რუსულ-ფრანგულ-ჩინურ ერთობლივ საწარმოს. იაპონური კომპანია აშენებს ინფრასტრუქტურას, მაგრამ დასავლეთის სანქციების დაწესების შემდეგ, რუსეთის წინააღმდეგ 2014 წელს იაპონიის ბანკმა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის გამოყო 400 მილიონო დოლარი მოცემული პროექტის დახმარების მიზნით. ბანკი ასევე დათანხმდა თანხის გამოყოფაზე „ არქტიკა LNG-2" პროქტის დასახმარებლად, რომელსაც ახორციელებს რუსეთის გაზის მწარმოებელი კომპანია „ნოვატეკი" 2025 წლისთვის პროცესის დაწყების შემდეგ, ამ პროექტის წარმადობა იქნება 16,5 მილიონი ტონა ბუნებრივი თხევადი გაზი წელიწადში. ეს იმას არ ნიშნავს რომ იაპონია და სამხრეთ კორეა არ არიან შეშფოთებულები არქტიკის ეკონომიკური პრობლემებით. (eurasianetwork, 2016) იაპონია, რომელიც წარმოადგენს კუნძულოვან სახელმწიფო არქიპელაგს, განსაკუთრებით მგრძნობიარეა ზღვაში წყლის დონის ზრდის მიმართ. 2016 წელს იაპონიამ, სამხრეთ კორეამ და ჩინეთმა ჩაატარეს სამმხრივი მოლაპარაკებები სეულში და შეთანხმდნენ ჩაეტარებინათ არქტიკის დაბინძურების და კლიმატური ცვლილებების საკითხთან დაკავშირებით ერთობლივი კვლევები. გაზეთი "Japan Times" იტყობინებოდა, რომ კვლევის მიზანი იყო მონაცემების მიღება, რომლებიც დაეხმარებოდა დაინტერესებულ ქვეყნებს, განესაზღვრათ საუკეთესო

დრო ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში ნაოსნობისთვის და როგორ დაეცვათ გარემო განვითარების მკვეთრი პროცესის ზემოქმედებისაგან. (South China Morning Post, 2016)

ევროპული კავშირი: ევროპულმა კავშირმა არქტიკით აქტიურად დაინტერესება დაიწყო მას შემდეგ, რაც 1995 წელს ფინეთი და შვედეთი გახდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები. „ჩრდილოეთის სივრცის“ ხელში აღების შემდეგ, 2000 წლიდან ევროკავშირმა თანმიმდევრულად დაიწყო იმის გაცხადება, რომ იგი დაინტერესებულია სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობით ისეთ სფეროებში, როგორიც არის ეკონომიკური განვითარება, გარემოს დაცვა, ბირთვული უსაფრთხოება, სოციალური კეთილდღეობა, უსაფრთხოება და სამართლიანობა. არქტიკული პოლიტიკის თანახმად, რომელსაც ევროკავშირი ატარებს, არქტიკა რჩება მშვიდობის, აყვავების და საერთაშორისო კონსტრუქციულ ზონად. რამდენადაც ევროპა წარმოადგენს უმსხვილეს სანაოსნო და სატრანსპორტო კომპანიების სამშობლოს მსოფლიოში, EC-სთვის მნიშვნელოვანია უფრო მოკლე და სწრაფი მიღწევადობა აზიის ბაზრებთან ან ჩრდილოეთის საზღვაო გზით, ან ჩრდილო დასავლეთის გასასვლელით. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი მოტივაციაა ევროკავშირისთვის ჩრდილოეთის საქმეებში ჩარევისათვის. თევზჭერა აგრეთვე რჩება ევროკავშირის სასიცოცხლო პრიორიტეტად ამ რეგიონში. თუმცა ევროკავშირმა არ აღიარა რუსეთისა და კანადის პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რომ არქტიკის წყლები, ეს მათი შიდა აკვატორიაა, რომელიც უნდა დაემორჩილოს ამ ქვეყნების მთვარობების გადაწყვეტილებებს. ევროკავშირი მიისწრაფვის იმისაკენ, რომ შექმნას არქტიკის მართვის უფრო ყოვლისმომცველი სტრუქტურები, ჩართოს აგრეთვე 2008 წელს მიღებული რეზოლუცია, რომელიც მიუთითებს სპეციალურ ხელშეკრულების ხელმოწერას, მსგავსად იმისა, რომელიც ხელმოწერილი იყო ანტარქტიდის მიმართ. (Depledge, 2015)

არქტიკა და ნატო-რუსეთის ურთიერთობა

მოსკოვი არქტიკაში მრავალი თვალსაზრისით დომინირებს. გეოგრაფიულად რუსეთი არქტიკის სანაპირო ზოლის ნახევარს პირდაპირ აკონტროლებს, გარშემო ტერიტორიის 40% და არქტიკის მოსახლეობის სამ მეოთხედს. საერთო ჯამში, არქტიკის რუსული ნაწილი საზღვაო და მიწის ზედაპირის ჩათვლით დაახლოებით 6 მილიონი კვადრატული კილომეტრია. ეკონომიკურად, რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP) და მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 20 % არის წარმოებული არქტიკული წრის ჩრდილოეთით. რესურსების თვალსაზრისით, გაზის 95 %, ნავთობის 75 %, პლატინის 96 %, ნიკელისა და კობალტის 90 % და 60% სპილენძის მარაგების მოპოვებულია არქტიკაში, სუბარქტიკულ რეგიონში. ამას ემატება, კონტინენტური შელფი, ზღვის ფსკერი, თავად წყალი და მათი სიმდიდრეები, იშვიათი მინერალებიდან თევზის მარაგებამდე. (The Kremlin's Arctic Dreams.)

1987 წელს მიხაილ გორბაჩოვის ცნობილი სიტყვები გახდა არქტიკის გარემოსდაცვითი სტრატეგიის ჩამოყალიბების და ფართო რეგიონალური კოოპერაციის საფუძველი. ეს მოიცავს საზღვაო საქმიანობის შეზღუდვებს, ჩრდილოეთ ევროპაში ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ზონის ჩამოყალიბებას და ტრანს საზღვაო თანამშრომლობის განვითარებას. არქტიკა არის რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ეს არის ნატოსთან მისი ყველზე აქტიური საზღვარი (Bering Strait - ბერინგის სრუტეზე გაცილებით დიდი), მისი საზღვარი ევროკავშირთან , მისი გასასვლელი ატლანტის ოკეანეში და სტრატეგიულად მოსახერხებელი ადგილი ბირთვული იარაღისა და სხვა შემაკავებელი სისტემების განსალაგებლად.

სხვა საერთაშორისო საკითხებთან ერთად, პუტინის რუსეთი აგზავნის შერეულ გზავნილებს არქტიკის თაობაზე საერთაშორისო საზოგადოებაში. მოსკოვმა საკმაოდ უპასუხისმგებლო ნაბიჯი გადადგა აგრესიული რიტორიკის ესკალაციაში, როდესაც 2007 წელს არქტიკაში

რუსული დროშა აღმართა და მხარი დაუჭირა არტურ შილინგოვს და მის პროვოკაციულ გამოსვლას. მიუხედავად ამისა, რესეთს თავად არ ჰქონია რაიმ უკანონო პრეტენზია კონტინენტურ შელფზე. თუმცა 2008-2009 წლების შემდეგ, მოსკოვი თვალშისაცემად აკეთებდა აქცენტს უფრო კოოპერაციული არქტიკის შექმნაზე და ლიდერობს საერთაშორისო კონსესუსის მიღწევას რეგიონში.

2010 წლის სექტემბერში არქტიკის ფორუმზე პუტინს ჰქონდა საკმაოდ დასავლური სტილის გამოსვლა- "მანამ სანამ ჩვენ ვზრუნავთ რუსეთის ჩრდილოეთის სტაბილურ და დაბალანსებულ განვითარებაზე, ჩვენ ვმუშაობთ ჩვენს მეზობლებთან კავშირების გაძლიერებაზე ჩვენს საერთო არქტიკულ სახლში." (Day, 2010)

რუსეთი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს არქტიკულ სტრატეგიულ ბალანსში. ცივი ომის დროს ეს ხელს უწყობდა დაძაბულობის ზრდას ზღვის სანაპირო ქვეყნებს შორის უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტის საკითხებთან მიმართებაში. მაგრამ ასევე ხელი შეუწყო რეგიონში სტრატეგიულ დეესკალაციას და საერთაშორისო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას.

2016 წლის ვარშავის სამიტის კომუნიკე განიხილავს არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებს ჩრდილო ატლანტიკაში. უფრო ზუსტად რუსეთისა და ნატოს ურთიერთობებს უკიდურეს ჩრდილოეთში. ალიანსი ბრალს დებს რუსეთს აგრესიულ ქმედებებში მათ შორის პროვოკაციულ სამხედრო აქტივობებში ნატოს ტერიტორიის პერიფერიებში. ვარშავაში, ნატოს ალიანსის წევრები შეთანხმდნენ, რომ გაეზარდათ ალიანსის სიტუაციური ცნობიერება არქტიკაში რუსეთის შეიარაღების საპირისპიროდ. (Summit, 2016)

2018 წლის ივნისში, პენტაგონის ხელმძღვანელმა ჯეიმს მატისმა განაცხადა, რომ ვაშინგტონმა არქტიკაში ქმედებები ახალ დონეზე უნდა აიყვანოს. ამ მიზნით კი შესაძლოა არქტიკის რეგიონში სანაპირო დაცვის რაოდენობა გაიზარდოს. ეს განცხადებ გასაკვირი არ არის, ცოტა ხნის წინ ცნობილი ოფიციალური პირები და პოლიტოლოგები აშშ-ში

საუბრობდნენ იმ თემაზე, რომ აუცილებელია არქტიკაში რუსეთთან დაპირისპირება და ძლიერი სამხედრო ჯგუფის შექმნა რეგიონში რათა შესაძლებელი გახდეს ამ მიმართულებით ვაშინგტონის ინტერესების დაცვა. ცივი ომის დროს ჩრდილოეთ პოლუსი ამერიკელი სტრატეგების მიერ მიჩნეული იყო ყველზე მოსახერხებელ ადგილად რათა განთავსებულიყო საბჭოთა კავშირზე ბირთვული დარტყმის მისაყენებლად ბალისტიკური რაკეტები.

საპასუხოდ საბჭოთა კავშირმა დაიწყო ინფრასტრუქტურის შემუშავება, რათა შეძლებოდა ამერიკის გეგმისათვის წინააღმდეგობის გაწევა. შეიქმნა რადიოსადგურების, საჰაერო თავდაცვისა და აეროდრომების სამხედრო ბაზების ქსელი თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ყველაფერი ნაწილობრივ განადგურდა.

ამ ეტაპზე რუსეთმა შექმნა 6 სამხედრო ბაზა, 13 აეროდრომი, 16 ღრმა საზღვაო პორტი. 2018 წლის ბოლომდე კი სრულად უნდა დასრულდეს ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღჭურვილობით უზრუნველყოფა და პერსონალის მობილიზება. განათავსა ПВО С-400 საჰაერო თავდაცვის და ПКР «Бастион» სარაკეტო სისტემები და იქმნება საკმაოდ ძლიერი ყინულმჭრელი ფლოტი.

ამის მიზეზი ნათელია, ბუნებრივი რესურსები, საზღვაო გზა და ევროპიდან აზიისაკენ პერსპექტიული ალტერნატიული მარშრუტი.

რუსეთის მხარე თვლის რომ რეგიონში სტაბილურობას უზრუნველყოფს რუსეთის აშკარა უპირატესობა, რა შეიძლება შეეწინააღმდეგოს რუსულ ყინულის ფლოტს, რომელიც ფლობს 40 გემს (ახალი თაობის ყინულმჭრელებს) მაშინ როცა შეერთებულ შტატებს აქვს მხოლოდ 3 ასეთი ყინულმჭრელი. (Джерелиевский, 2018)

თავი II . პოსტ ბიპოლარული ეპოქის არქტიკული ეპოპეა

2.1. რამ განაპირობა არქტიკის გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია

არქტიკა არ არის არა მარტო ახალი გეოპოლიტიკური აქტორი არამედ ინარჩუნებს ბალანსს მსოფლიოში. უკეთესია თუ უარესი, არქტიკა მოექცა ინტერესის ცენტრში. უცნობი ტერიტორიიდან ცნობად ტერიტორიად გადაქცევა, მარგინალურიდან ცენტრალურად ქცევა, მსგავსი ექსტრემალური ცვლილებები გვაძლევს სტრატეგიულად ფიქრის საფუძველს. არსებობს ვარაუდები, რომ არქტიკა მთლიანად შეიცვლება კლიმატური ცვლილებების შედეგად. მოსახლეობის მოულოდნელი ზრდა, ტერორისტების მიერ უკონტროლო თავშესაფრის ძიება, მეორე სუეცის არხად ქცევა, გადაზიდვებისა თვალსაზრისით, მეორე ახლო აღმოსავლეთად ქცევა ჰიდრო კარბონის თვალსაზრისით, ეს ყველაფერი ამტკიცებს ამ მოსაზრებებს, მაგრამ ცვლის არქტიკის რეგიონის რეალობას, უგულებელყოფს ამ ტერიტორიის და მსოფლიოს სხვა ტერიტორიის შესაძლებლობების შედარებას.

შეიძლება თუ არა, რომ არქტიკამ მოახდინოს 21-ე საუკუნეში გლობალური ბალანსის შეცვლა?

არის თუ არა ახალი გეოპოლიტიკური აქტორი იგივე რასაც სერ ჰალფორდ მაკინდერი მე-19 საუკუნეში ციმბირსა და აზიაზე ამბობდა. მაკინდერის „ჰართლენდის“ მიხედვით, ცენტრალური წერტილი იყო ევრაზიის ტერიტორია, იქნება თუ არა იგივე ახლა უკიდურესი ჩრდილოეთი. (Mackinder, (Apr., 1904),) „ის ვინც გააკონტროლებს არქტიკას, გააკონტროლებს მსოფლიოს“- გახდება თუ არა 21-ე საუკუნის მაქსიმუმი? ძირითადი აზრი

არის ის, რომ არქტიკა არ არის ახალი გეოპოლიტიკური აქტორი , არამედ უზრუნველყოფს ბალანსს გლობალურ წესრიგში.

ქვეყნები რომლებიც ყველაზე აქტიურები არიან არქტიკაში, ცდილობენ გაზარდონ არა მარტო მათი სტრატეგიული და ეკონომიკური როლი რეგიონში, არამედ მეცნიერული ძალისხმევა რაც საკმაოდ დიდ პრესტიჟს და აღიარებას მოუტანთ. იგი ასევე ხელს შეუწყობს გეოპოლიტიკური ხიდის ჩამოყალიბებას, როგორიც არის ტრანსატლანტიკური კავშირი, ჩრდილოეთ ევროპა-რუსეთის პარტნიორობა ან აზრია რუსეთის გაერთიანება. არქტიკის მიმართ აზიური ქვეყნების ინტერესების გაზრდა და მათი შორის ჩინეთის, კორეის, იაპონიის და ინდოეთის მხრიდან ადასტურებს არქტიკის, როგორც საერთაშორისო ბალანსის გამაწონასწორებლის როლს. ეს არ ცვლის ფუნდამენტურ წესრიგს, მაგრამ ამატებს სხვადასხვა სახელმწიფოსთვის სხვადასხვა მნიშვნელობას.

2000-იანი წლების მეორე ნახევარში, არქტიკაში გეოსტრატეგიულმა გაურკვევლობამ გამოიწვია დისკუსიები არქტიკის საომარ ზონად ტრანსფორმაციის შესახებ. ცივი ომის დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირების ცენტრალურ ტერიტორიად ყოფნამ და მრავალრიცხოვანმა ინციდენტებმა, რამაც კონფლიქტის ესკალაცია გამოიწვიეს , შესაძლოა განაპირობონ არქტიკის გაყინული კონფლიქტების გრძელი სიისათვის დამატება. მართლაც მსოფლიოს ძლიერი ქვეყნები: ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, ევროპა და იაპონია დიდი ხნის წინ ავლებდნენ მავთულხლართებს , მაშინ როცა აზიის მზარდი ძალები, ჩინეთის ლიდერობით და ინდოეთი, არ მალავდნენ ინტერესებს რეგიონში. ნატოს სტატუსის შეცვლა, ვინაიდან იგი ცდილობს შეასრულოს თავისი მისია ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში, ნატო-რუსეთის ურთიერთობები გათვალისწინებით ართულებს არქტიკული უსაფრთხოების დებატებს. კონფლიქტზე ორიენტირებული შეხედულება გაძლიერდა ზოგიერთი ზღვისპირა სახელმწიფოს თვითგამორკვევადი რიტორიკის გამო, განსაკუთრებით რუსეთისა და კანადის მხრიდან. ზოგიერთი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ჩართული იყო აგრესიული

ფორმულირების ინფლაციაში. დაწყებული არქტიკასა და ანტარქტიდაში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის არტურ შილინგაროვის დევიზით „ჩვენ არ დავუთმობთ არავის არქტიკას“- “We will not give the arctic to anyone” არქტიკის პრემიერ მინისტრის დევიზით დამთავრებული „ გამოიყენე ან დაკარგე“- “Use it or lost it. მიუხედავად იმისა, რომ მათი რიტორიკის ობიექტი ეროვნული საზოგადოებრივი აზრი იყო, საერთაშორისო არენაზე მათ მნიშვნელოვანი რეზონანსი მოჰყვა. (Hønneland, 2016)

არქტიკას აქვს გლობალურ ვაჭრობასა და ეროვნულ უსაფრთხოებაში უზარმაზარი სტრატეგიული მნიშვნელობა. ასევე უკიდურესი ჩრდილოეთი არის რუსული მასობრივი შეიარაღების ტერიტორია, რაც აშშ-სა და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას ახალი სტრატეგიის დამუშავებისაკენ მოუწოდებს.

რუსეთი, თავის ბალისტიკურ რაკეტსაწინააღმდეგო შეიარაღების განლაგებისთვის არქტიკის წყლებს იყენებს და ამ რეგიონში სამხედრო ინფრასტრუქტურის გაძლიერება სურს. მოსკოვისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში ბირთვულ ომს უკეთ მომზადებული მხარე მოიგებს.

ამავდროულად რუსეთი ამბიციურ ტერიტორიულ პრეტენზიებს აცხადებს, რომლებიც ფარავს სხვა არქტიკული სახელმწიფოების ტერიტორიებს. დანიამ და რუსეთმა ჩრდილოეთ პოლუსსა და არქტიკის ზღვის ფსკერზე განაცხადეს პრეტენზია. მოსალოდნელია, რომ კანადამაც გამოხატოს პრეტენზიები ტერიტორიებზე. სადავო ტერიტორია შეადგენს დაახლოებით 200 000 საზღვაო მილს და რუსეთის შეფასებით 10 მილიარდ ტონა ნახშირწყალბადის მარაგებს მოიცავს. (Dobriansky, 2018)

არქტიკაში არ არის მხოლოდ დასავლეთის სამხედრო ობიექტი, არსებობს მხოლოდ რამდენიმე აშშ-ს სანაპირო დაცვის ობიექტი. აუცილებელია არქტიკაში რუსეთის შეიარაღების საპასუხოდ დასავლეთის შესაბამისი რეაქცია. ნოემბრის ჰალიფაქსის უსაფრთხოების ფორუმზე, ნატოს გენერალურმა მდივანმა ჯენს სტოლტენბერგმა მიმოიხილა

ალიანსის გეგმები, რათა შეიქმნას ატლანტიკური სარდლობა არქტიკაში. ამ ინიციატივას ფართო მხარდაჭერა აქვს, მათ შორის ხუთი ნატოს წევრი არქტიკული სახელმწოფოსგან

ტრამპის ადმინისტრაცია მხარს უჭერს ნატოს ახალ ბრძანებას, თუმცა უფრო მეტია საჭირო. ახალ ბრძანებას აქვს ნათელი მისია, რომელიც მიმართულია ალიანსის ინტერესებისკენ არქტიკაში რუსეთის სამხედრო ქმედებების, დაზვერვის და მონიტორინგისაკენ, საზღვაო, საძიებო და სამაშველო ოპერაციების კოორდინაციისა და რეგიონში სამხედრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისაკენ, რათა განისაზღვროს რუსული საფრთხე.

ამერიკამ უნდა დაიწყოს განვითარებული ყინულმჭრელების შენება და ჩაატაროს მეტი წვრთნა, პატრულირება და სასწავლო მისია. ასევე საჭიროა ძლიერი ქმედებები რათა რუსული შეიარაღების ზრდის პარალელურად მოხდეს აშშ-ს ლიდერობის დემონსტრირება ნატოსა და მთელს მსოფლიოში.

2.2 სავარაუდო სცენარი

თემის შესწავლისას და ექსპერტებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა მოვლენების განვითარების ორი სავარაუდო სცენარი.

დღესდღეობით რუსეთის შეიარაღება საკმაოდ ძლიერია და არ ჩამოუვარდება ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებას და რთულია იმაზე საუბარი რამდენად დარღვეულია ან შენარჩუნებულია ბალანსი მხარეთა შორის. შეიარაღებული რბოლა დღესაც მიმდინარეობს და ორივე სახელმწიფო ავითარებს თავის სამხედრო პოტენციალს.

თუ გადავხედავთ 2010 წლის კონფერენციას, რომელიც რუსეთში ჩატარდა და რა დროსაც საკმაოდ ფართო წრე იყო წარმოდგენილი მეცნიერების და მათ იმსჯელეს თ36 რა პრინციპით უნდა მომხდარიყო არქტიკის გაყოფა. საკმაოდ რთულია იმაზე საუბარი ვის

რამდენი ერგება ტერიტორიულად. იქიდან გამომდინარე, რომ ყველა მხარეს, კანადას, დანიას, აშშ-ს და სხვა ქვეყნებს გარკვეული პრეტენზიები აქვთ და ნავთობსა და სხვა რესურსებისათვის ბრძოლა საკმაოდ მნიშვნელოვანია რადგან მათი ეკონომიკისთვის ეს რესურსები მასტაბილიზებელია, მათ შორის რუსეთის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა.

2008 წელს, მედვედევმა განაცხადა რომ იგი იმყოფება ახალი ცივი ომის პერიოდში ნატოსთან და ამას ამჟამინდელი პრეზიდენტიც გამოეხმაურა. ამას არ ეთანხმება ნატო და მისი ოფიციალური წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ არ სურთ დაპირისპირება რუსეთთან. თუმცა არსებითი გარემოებების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცივი ომი ნამდვილად არსებობს.

არსებული მდგომარეობა არ გამოიწვევს ფართომასშტაბიან ომს, შესაძლოა იყოს ლოკალური ომები, მაგრამ რადგან გარკვეულ ეტაპზე დაპირისპირებულ მხარეებს მოუწევთ სხვა შეიარაღებაზე გადასვლა, რაც ყველასთვის მომაკვდინებელი იქნება, ამის გამო ეს ომები მხოლოდ რამდენიმე თვე გაგრძელდება. აქ უკვე ნატოს საკითხი გახდება მნიშვნელოვანი, რადგან ის სახელმწიფოები, რომლებიც იქნებიან ჩართულნი კონფლიქტში მოითხოვენ მე-5 მუხლის ამოქმედებას, რა დროსაც ნატოს მოუწევს კონფლიქტში ჩართვა და თავის რესურსების მიმართვა ნატოს ამა თუ იმ წევრი ქვეყნის ინტერესების დაცვა. არქტიკის გაყოფისას ნატოს წევრი ქვეყნები მოაგვარებენ ტერიტორიულ დისპუტებს და სამართლიანად მოხდება რესურსების გაყოფა. რუსეთი კი არის ის ქვეყანა, ვის მიმართაც შეიძლება იქნეს ნატოს რესურსის ამოყენება დაპირისპირების შემთხვევაში. ჩინეთმა შეიძლება ღიად დაუჭიროს მხარი რუსეთს, რამაც შესაძლოა მესამე მსოფლიო ომამდე მიგვიყვანოს. თუმცა ამის ალბათობა მცირე რადგან ის ბირთვული იარაღი რაც არსებობს სტაბილურობას ქმნის მსოფლიოში. დღესდღეობით ამერიკის პოლიტიკა მიმართულია იზოლაციისაკენ და ორიენტირებულია ამერიკის მოქალაქეების დაცვისკენ. არსებული ვითარების გათვალისწინებით ტრამპი არ ეცდება გამოიყენოს ბირთვული შეიარაღება. ჩვენ არ ვიცით რა პოლიტიკას გაატარებს ის მთავრობა, რომელიც შემდგომ მოვა. მაგრამ

დღესდღეობით ჩანს, რომ არსებული აშშ-ს პოლიტიკა არ არის იმდენად აგრესიული რუსეთის მიმართ რამდენადაც შეიძლება განვითარდეს მომავალ წლებში, ისევე როგორც არ ვიცით ვინ იქნება რუსეთის შემდეგი მმართველი და რა იქნება მათი ძირითადი ინტერესები. შეიძლება ველოდოთ მცირედ ომებს და დაპირისპირებას, შეიძლება არაპირდაპირს არამედ ირიბად, მაგალითად როგორც დღეს სირიაში. ღია დაპირისპირება აშშ-სა და რუსეთს შორის არ მიმდინარეობს, მაგრამ მიმდინარეობს სულ სხვა ტერიტორიაზე.

მეორე ალტერნატიული სცენარს რაც შეეხება, საომარ მოქმედებებს არ ექნება ადგილი, რადგან საერთაშორისო სამართლის მეშვეობით ან არქტიკის საბჭოს მეშვეობით, რომელიც შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციად გადაიქცეს, მოხდეს არქტიკის რეგიონის სექტორებად დაყოფა და თითოეული ქვეყნის გავლენა თითოეულ სექტორზე გავრცელდეს. ის ფაქტი, რომ არქტიკაში ომი დაიწყება, რეალობას არ შეესაბამება.

ანალიზი

დღესდღეობით მსოფლიოში სტაბილურობა დამოკიდებულია დიდ სახელმწიფოებს შორის ბალანსის შენარჩუნებაზე, რისთვისაც საჭიროა უზრუნველყოფილ იყოს ამ ქვეყნების სიძლიერე, ეს კი თავის მხრივ მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული. თუმცა შეგვიძლია რამდენიმე მიზეზი განსაკუთრებულად გამოვყოთ. მაგალითად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა , ენერგოუსაფრთხოება, მაღალგანვითარებული შეიარაღება, ქვეყნის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობა და სხვა. როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკურ სიძლიერეზე და ენერგოუსაფრთხოებაზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ის ბუნებრივი რესურსები, რომლებზეც დამოკიდებულია უდიდესი ქვეყნების არსებობა მილევადია. ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ბუნებრივ რესურსებზე წვდომა, მიზანმიმართულად იყენებენ მათ სხვა , ამ რესურსებს მოკლებული ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ წარმატებითაც. სწორედ იმის გამო, რომ ევროპას არ გააჩნია საკუთარი ბუნებრივი რესურსები და მისი ძირითადი ენერგომომარაგება რუსეთის რესურსებზეა დამოკიდებული, პირველადი მიზანი, სწორედ ამ რესურსების დივერსიფიცირებაა რათა უზრუნველყოფილ იქნეს ევროპის ქვეყნების უსაფრთხოება. , ამისათვის პირველ რიგში საჭიროა უსაფრთხო და სტაბილური წყაროს მოძიება და შემდეგ მისი ათვისება. სწორედ ამან განაპირობა უკანასკნელ პერიოდში არქტიკის პოტენციალის ზრდა.

არქტიკა ცივი ომის შემდგომაც აქტუალური იყო თავისი სატრანსპორტო პოტენციალით, მაგრამ მაშინ არსებული რთული კლიმატური პირობების გამო არ განიხილებოდა ბუნებრივი რესურსების მოპოვების თავლსაზრისით მისი ტერიტორია. თუმცა მას შემდეგ რაც ყინულმა დნობა დაიწყო, უფრო და უფრო გაიზარდა არქტიკით დაინტერესების მიზეზები.

არქტიკაზე ზეგავლენის მოპოვება საერთაშორისო ასპარეზზე დომინირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რადგან მას გააჩნია ტერიტორიული და სამხედრო სტრატეგიული

მნიშვნელობა და განსაკუთრებულად მდიდარი რესურსები, ბუნებრივი აირი, ნავთობი, ქვანახშირი, ოქრო, ნიკელი, პლატინა და სხვა. ზოგადად სადაც არის რესურსები იქ კონფლიქტი ყოველთვის მოსალოდნელია ამ რესურსებზე ზეგავლენის მოსაპოვებლად, აქედან გამომდინარე დომინანტი ვინც იქნება, ის შეიძლებს სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით ტერიტორიის გამოყენებას, სამხედრო ტექნიკური პროგრამების განსახორციელებლად, მათ შორის სტრატეგიული მოწყობილობებისა და არსენალის განთავსების კუთხით.

დარგის ექსპერტებთან ინტერვიუების შემდეგ, ზოგიერთ საკითხში აღინიშნება აზრთა თანხვედრა, ხოლო ზოგიერთ საკითხში აზრთა სხვადასხვაობა. ექსპერტები თანხმდებიან იმ ფაქტზე, რომ როგორც ფართომასშტაბიანი ისე ლოკალური ომები ყოველთვის რესურსებთან იყო დაკავშირებული. ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ სადაო ტერიტორიების თაობაზე სამხედრო დაპირისპირება ნაკლებად მოსალოდნელია, ვინაიდან რუსეთი ვერ გაბედავს ნატოს წინააღმდეგ წასვლას. აქ ცალკეულ ტერიტორიულ დისპუტებთან დაკავშირებით შესაძლოა იმსჯელოს გაეროს საერთაშორისო სასამართლომ.

ექსპერტთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ არქტიკის რეგიონის გეოპოლიტიკური დანიშნულების გეოსტრატეგიული დანიშნულებით შეცვლა განაპირობა ენერგოუსაფრთხოებაზე კონტროლის დამყარების სურვილმა. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს საერთაშორის სამართლებრივი ნორმები, მათ შორის საზღვაო კონვენცია 1982 წლის, რომლის მიხედვითაც 200 საზღვაო მილის ფარგლებში აქვთ მოსაზღვრე ქვეყნებს ამ ზონაში სხვადასხვა ქმედებების განხორციელების უფლება. სწორედ ეს განაპირობებს გეოსტრატეგიული დანიშნულების ზრდას.

ვინაიდან არქტიკა არის ბუნებრივი რესურსების უდიდესი საბადო, უნდა ველოდოთ დაპირისპირებას. დღეისათვის არსებული ნასას მონაცემებზე დაყრდნობით, საკმაოდ

მზარდად შეინიშნება ყინულის დნობის ტენდენცია, რაც იწვევს იმ ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობას, რაც ყინულის ქვეშ იყო აქამდე დამალული, მაგალითად ყველაზე მნიშვნელოვანი, შავი ოქრო ანუ ნავთობი. სწორედ ამ და სხვა რესურსებმა განაპირობა ის, რომ მნიშვნელოვანი სახელმწიფოები სწორედ არქტიკისკენ არის მიმართული და სწორედ ეს ბუნებრივი რესურსები არის არქტიკაში კონფლიქტის წარმოშობის ძირითადი მიზეზი. რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები ადრეც მიმართული იყო არქტიკისკენ ხოლო ახლა რაც უფრო ხელმისაწვდომი ხდება რესურსები, მით უფრო მეტად გაიზრდება ამ ქვეყნების დაინტერესება რეგიონის მიმართ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში კონფლიქტის დაწყების ალბათობა ყინულის დნობის ინტენსივობის პირდაპირ პროპორციულია.

ის ფაქტი, რომ არქტიკის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე პრეტენზიას აცხადებს რუსეთი, სხვა სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვან დაპირისპირებას წარმოაჩენს, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ევროპის ქვეყნების ინტერესებში არ შედის რუსეთისთვის ამხელა ტერიტორიისა და იქ არსებული რესურსების დათმობა. რომ გავიხსენოთ ნატოს ოფიციალური პირების განცხადებები არქტიკასთან დაკავშირებით, მათ წარმოადგინეს კონცეფცია რის მიხედვითაც თავდაპირველად მათ სურდათ არქტიკის ტერიტორიაზე გარკვეული სამხედრო ნაწილები განეთავსებინათ, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ მათ უარყვეს ის ფაქტი, რომ სურდათ რუსეთის ალყაში მოქცევა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არქტიკის ტერიტორიის გამოყენება ნატოს სწორედ რუსეთის ალყაში მოსაქცევად სჭირდება. არ არის გამორიცხული, სამხედრო კონტიგენტების ზრდა არქტიკის ტერიტორიაზე. ისიც საყურადღებოა, რომ წყალბადის ბომბი პირველად საბჭოთა კავშირმა სწორედ აქრტიკის რეგიონში გამოსცადა ახალი მიწის ტერიტორიაზე 1954 წელს. ამიტომ შესაძლებელია, რომ დამატებითი სამხედრო გეგმებიც იქნეს განხორციელებული ამ რეგიონში. იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო წლების განმავლობაში აშშ ახდენს ფიქლური გაზის მოპოვება, იმისათვის, რომ არ შემცირდეს რუსეთის გავლენა, შეეცდება გაზარდოს სამხედრო კონტიგენტი. ვინაიდან ნატოს წევრი ქვეყნების იურისდიქცია ვრცელდება აქრტიკის რეგიონის

ნაწილზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნატოს ინტერესებში შედის წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოება. მაგრამ ასევე სურს, რომ სამშვიდობო პოლიტიკის გზით მოხდეს რუსეთთან ურთიერთობა არქტიკის ტერიტორიასთან მიმართებაში. ის ფაქრი, რომ დღეისათვის არქტიკის ტერიტორიაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ექსპედიცია ტარდება, ამერიკისა და რუსეთის მიერ მხოლოდ და მხოლოდ ხაზს უსვამს არქტიკის მნიშვნელობას ხოლო ის, რომ ექსპედიციების უმეტესობა არის ფარული კიდევ უფრო აღვივებს ეჭვს არქტიკის გეოსტრატეგიულ პოტენციალთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ მხოლოდ მეცნიერული განმარტება აქვს ამ ექსპედიციებს, სავარაუდოდ აშშ სა და რუსეთისთვის არ არის ხელსაყრელი არქტიკის გეოსტრატეგიული დანიშნულების გასაჯაროვება. ექსპედიციების ძირითადი მიზანი არის სამხედრო ხასიათის. ის რომ სამხედრო ასპექტები ჭარბობს ექსპედიციების განხორციელებისას ნიშნავს იმას, საფრთხე არსებობს მათთვის. ის რომ დანიას ყავს სამხედროები განლაგებული, უნდა ნიშნავდეს მნისთვის საფრთხის არსებობას. იქიდან გამომდინარე, რომ სხვა მოსაზღვრე ქვეყნები ნატოს წევრები არიან. მისი ძირითადი საფრთხის წყარო შეიძლება ვივარაუდოთ რომ არის რუსეთი, რომელსაც არქტიკის ტერიტორიის სახით მნიშვნელოვანი დასაყრდენი აქვს. რუსეთისთვის არქტიკას აქვს როგორც გეოპოლიტიკური , ისე გეოსტრატეგიული დანიშნულება. იკვეთება მისი როგორც ეკონომიკური და კომერციული ისე პოლიტიკურ ინტერესები. რუსეთი გამოდის თავისი სტრატეგიული ინტერესებიდან, იგი ცდილობს, რომ უზრუნველყს თავდაცვა დ უსაფრთხოება თავისი მოსახლეობის. მისთვის ის არეალი, საზღვარი, რომელიც არის მის სიახლოვეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან მან უნდა მოახდინოს სწორედ საზღვარზე დაცვა თავისი ტერიტორიის. რუსეთი არქტიკის რეგიონში პოზიციების გამაგრებით მიიღებს სასაზღვრო უსაფრთხოებას, ეკონომიკურ და კომერციულ სარგებელს. თუ ნატოს შეიარაღება განლაგდება არქტიკაში, იმდენად ახლო მანძილი იქნება რუსეთთან., რომ მისთვის ამ საფრთხისგან თავის დაცვა გართულდება, ამიტომ თანაბარი ძალის არსებობის უზრუნველსაყოფად, რუსეთის ინტერსებში შედის სამხედრო ბაზის არსებობა, რათა სტაბილურობის განცდა ჰქონდეთ როგორც თავად რუსეთს ისე

მოსაზღვრე ქვეყნებს. რაც უფრო ახლოს იქნება რაკეტებიდან დამრტყმელი ძალა, მით უფრო ძნელი იქნება რუსეთისთვის შეკავება ასეთი ძალის.

აშშ-ში ავითარებენ თავდაცვის ზღუდეს და ამ შემთხვევაში აშშ საკმაოდ კარგად იყენებს ნატოს, იგი შეგვიძლია ჩავთვალოთ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების განხორციელების მექანიზმად. ვინაიდან ნატოს რესურსს ყველაზე კარგად იყენებს სწორედ შეერთებული შტატები და ამ მიმართულებითაც, რიდესაც საუბარია რუსეთთან ბალანსის შენარჩუნებაზე არქტიკის რეგიონში, შეერთებული შტატები ნატოს გზით განახორციელებს რუსეთის შემაკავებელი პოლიტიკის გატარებას არქტიკაში.

შეგვიძლია გავიხსენოთ უკრაინის კონფლიქტი 1990- ან წლებში, რა დროსაც აშკარა გახდა რესურსებზე ბრძოლის საკითხი, თუნდაც მას მერე რაც სანქციები დაუწესეს რუსეთს, რაც მძიმე დარტყმა იყო როგორც რუსეთისთვის ისე ევროპისთვის, ვინაიდან ისინი გახდნენ მოკლებულები იმ ძირითად რესურსებს რაც მათ სჭირდებათ განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. რუსეთისათვის სანქციების დაწესება არახელსაყრელია არამარტო რუსეთისთვის, არამედ სხვა ევროპული ქვეყნებისთვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან რუსულს რესურსებზე, ევრიპოს ინტერესებში შედის რუსეთთან ცივილიზებული , სანქციების გარეშე საუბარი, რადგან რუსეთის სანქციები პირდაპირ აისახება ევროპის ენერგოუსაფრთხოებაზე. 29 სახელმწიფოს აერთიანებს ნატო და ძირითადი ქვეყნები ევროკავშირის წევრები არიან და ყველაზე მნიშვნელოვანი არის ენერგო უსაფრთხოება იყოს მათთვის მიღწეული.

არა არქტიკულ ქვეყნებს რაც შეეხება, არ შეიძლება გავმიჯნოთ უცხოური კომპანიის ინტერესები შესაბამისი ქვეყნის ინტერესებისგან მაგალითად ავიღოთ დანიის მაგალითი, როდესაც ჩინური კომპანია ცდილობდა არქტიკის საზღვართან შეეძინა მიწა ტურისტული ზონის განვითრებისათვის, თუ ჩინური კომპანია დაინტერესებულია არქტიკით, ესე იგი ჩინეთი, როგორც სახელმწიფო დაინტერესებულია ამ ტერიტორიით. იქიდან გამომდინარე, რომ არქტიკის რეგიონის რესურსების გამოყენება სამართლებრივი აქტებით არის

დარეგულირებული, არა არქტიკული ქვეყნების ინტერესები ძირითადად არის არქტიკულ ქვეყნებთან ერთად ერთობლივი საწარმოების შექმნა, ინვესტიციების განხორციელება არქტიკის ათვისების სფეროში, სადაც მაგალითად ჩინური , კორეული კომპანიები მიიღებენ მონაწილეობას და კომერციულ ინტერესებთან ერთად მიღებენ ფინანსურ მოგებას.

რესურსები არის მილევადი რაც მოითხოვს სხვადასხვა ტერიტორიების ათვისებას. იმის გამო, რომ ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით დაზღვეული არ არის ევროპა, იგი დამოკიდებულია რუსულ პოლიტიკაზე და ის წარმართავს თავის საგარეო პოლიტიკას შესაბამისად. სწორედ ამავე მიზეზით, ევროპა შეეცდება რადიკალურად არ დაუპირისპირდეს რუსეთს. ყოველთვის ექნება რუსეთს თავისი ეროვნული ინტერესების გატარებისას პრივილეგია, რადგან ევროპის გასაკონტროლებლად მნიშვნელოვანი ბერკეტი ექნება. იმ შემთხვევაში, თუ ევროპა განაგრძობს რუსეთზე დამოკიდებულებას ენერგო რესურსების თვალსაზრისით, რუსეთს ყოველთვის ექნება თავისი საგარეო პოლიტიკის წარმართვის შესაძლებლობა თავისი სურვილისა და ინტერესებისებრ.

ნებისმიერი ქვეყნის ხელთ არსებული მონოპოლია რესურსებზე ხელს შეუშლის ენერგოუსაფრთხოებას. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ირანი, მისი ბირთვული პოლიტიკა დიდი ხანია განხილვის საკითხია, ხოლო ის სანქციები რომლებიც მის მიმართ დაწესდა პირდაპირპროპორციულად აისახება ენერგოუსაფრთხოებაზე და ბუნებრივი რესურსების ფასებზე. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ფლობს ენერგორესურსებს, გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე და ფასებზე.

შეიძლება არქტიკა შევადაროთ თავისი ბუნებრივი რესურსებით, სატრანზიტო პოტენციალით და გეოსტრატეგიული ფუნქციით მაკინდერის ჰართლენდის თეორიას, რომლის მიხედვითაც გეოსტრატეგიული თვალსაზრისით თანხვედრა იყო ჰართლენდსა და არქტიკას თუმცა დღეისათვის იმდენად არის განვითარებული ტექნოლოგიები, რომ გლობალიზაციის პროცესში შემცირდა საზღვრები. იქიდან გამომდინარე, რომ სამხედრო ტექნიკა იმდენად

არის განვითარებული, რომ რამდენიმე წუთში შეიძლება მოხდეს ნებისმიერი წერტილის დაბომბვა. (Mackinder, (Apr., 1904),)

როცა ორივე ქვეყანა აცხადებს პრეტენზიას არქტიკის ტერიტორიაზე, რუსეთიც აშშ-ც, არქტიკაში იქნება 2 სამხედრო ბაზა უკვე. ამ შემთხვევაში ეს ზუსტად ის ბალისტიკური რაკეტა თუ ატომური ბომბი, ან რაიმე შეიარაღება რასაც განათავსებენ ამ ტერიტორიაზე, ის უკვე დააბალანსებს არსებულ მდგომარეობას.

არქტიკაში სტაბილურობა იქნება მაშინ უზრუნველყოფილი თუ აშშ-საც და რუსეთსაც ეყოლებათ სამხედრო შეიარაღება განლაგებული არქტიკის ტერიტორიაზე და თუ ერთი ბალისტიკურ შეიარაღებას განალაგებს, იმისათვის რომ აცილებული იქნეს შეიარაღებული დაპირისპირების საფრთხე, აუცილებელი იქნება მეორე მხარისგანაც იგივე ქმედების განხორციელება. ცივი ომის დროსაც, ხომ ფართომასშტაბიანი ომების შემაკავებელი სწორედ ატომური იარაღის შექმნა გახდა.

დასკვნა

დამუშავებული ლიტერატურა და დარგის ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები რომ შევაჯამოთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ და გავცეთ პასუხი საკვლევ კითხვებს.

არქტიკის მიმართ დაინტერესება ძალიან დიდია და ინტერესის ყველა სფერო საერთოა როგორც არქტიკული ქვეყნებისათვის ისე არა არქტიკული სახელმწიფოებისათვის, ესენია სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამეცნიერო.

იქიდან გამომდინარე, რომ არქტიკაში არის მსოფლიოს აუთვისებელი ნავთობისა და გაზის რესურსების 22 % თავმოყრილი, და დღესდღეობით გლობალური დათბობისა და ყინულის დნობის შედეგად ეს რესურსები უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება, არქტიკის მიმართ დაინტერესებაც იზრდება.

არქტიკაში არის მტკნარი წყლის უდიდესი რესურები და ვინაიდან მსოფლიოში მტკნარი წყლის რაოდენობა ასევე მცირდება, 1,2 მილიარდი ადამიანი, რაც დაახლოებით მსოფლიოს მოსახლეობის ერთ მეხუთედს შეადგენს მტკნარი წყლის დეფიციტს განიცდის, ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, რის გამოც არქტიკაში არსებული რესურსები უდაოდ მნიშვნელოვანია.

არქტიკის ტერიტორია შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც ატომური ნარჩენების ნაგავსაყრელი. დღესდღეობით მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები დგანან ამ პრობლემის წინაშე, რადგან ატომური ნარჩენები დიდ საფრთხეს უქმნის გარემოს და მოსახლეობას. რუსეთის გამოცდილება უკვე არსებობს ამ მიმართულებით რადგან 1990 -იან წლებში მისი ატომური ნარჩენები სწორედ ბარენტის და კარას ზღვებში განთავსდა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ის ფაქტი, რომ არ არის არქტიკის რეგიონის საზღვრები დადგენილი აუცილებლად იქნება სამომავლოდ როგორც არქტიკულ ისე არა არქტიკულ ქვეყნებს შორის არსებული დისპუტების მოგვარებისას შემაფერხებელი გარემოება. ამიტომ შემდეგი ლოგიკური ნაბიჯი რომელიც საჭიროა გადაიდგას ამ მიმართულებით, არის არქტიკის საზღვრების დელიმიტაცია რომელიც მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი გაეროს მიერ. რადგან ამის გარეშე შეუძლებელი იქნება პირველ რიგში არქტიკული რესურსების სრული გამოყენება და მეორე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არქტიკის რეგიონის „დახურვა“ სხვა რეგიონალური კონკურენტებისთვის, მაგალითად ჩინეთის, იაპონიისა და სამხრეთ კორეისათვის, რადგან საზღვრების დელიმიტაციის შემდეგ ამ მიმართულებით არსებული ყველა საკითხის განხილვა განხორციელდება გაეროს შესაბამისი კონვენციისა და ზღვის კანონის არსებული სტანდარტების მიხედვით.

შესაძლოა ამ ეტაპზე ნაადრევი იყოს ისეთი შეთანხმების დადებაზე საუბარი , რომელიც მისაღები იქნება ყველა არქტიკული სახელმწიფოსათვის, რადგან ეს შეთანხმება ნიშანი იქნება არქტიკის ტერიტორიაზე სხვადსხვა ქმედებების ნორმატიული აქტებით რეგულირებისა, რაც თავის მხრივ შეზღუდავს სამხედრო მოქმედებებს რეგიონში და ეს არახელსაყრელი იქნება თავად მოსაზღვრე ქვეყნებისთვის, პირველ რიგში კი რუსეთისათვის, რადგან არქტიკული შელფის დემილიტარიზაცია ფაქტობრივად ნიშნავს რუსეთის მიერ არქტიკული შენაერთების გაყვანას რეგიონიდან.

არქტიკის ტერიტორია არის ბუფერული ზონა და უზრუნველყოფს ძალთა ბალანსს მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოებს შორის. შესაბამისად მასზე კონტროლის დაკარგვა არ შედის განსაკუთრებით რუსეთის ინტერესებში.

არქტიკის საბჭოს თუ არ ექნება საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსი და დარჩება ისევ რეგიონალურ ორგანიზაციად, ერთადერთი რასაც ის შეძლებს არის ის, რომ იყოს სტაბილიზატორი დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის თავის კომპეტენციაში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით (გარემოს დაცვა და ასე შემდეგ)

იქიდან გამომდინარე, რომ ბუნებრივი რესურსების ფლობა არის მნიშვნელოვანი ბერკეტი მსოფლიოს საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენისათვის, ხოლო არქტის რეგიონი არის მნიშვნელოვანი მარაგების თავმოყრის ადგილი, სწორედ ამან განაპირობა არქტიკის გეოსტრატეგიული მნიშვნელობის ზრდა.

არქტიკას აქვს მნიშვნელოვანი სატრანზიტო პოტენციალი, და მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ უმოკლეს გზად.

ამასთან ერთად არქტიკის რეგიონი არის რუსეთისა და ნატოს ყველაზე აქტიური საზღვარი რაც ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებზე საკუთარი შეიარაღების არსებობას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მოსაზღვრე ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოებისათვის. როდესაც რუსეთისათვის ნატო წარმოადგენს ყველაზე დიდ მოწინააღმდეგეს და ჩრდილოეთიდან უახლოეს საზღვარზე ნატოს სამხედრო ფლოტი არის გამაგრებული, სხვა სად დაიცავს საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობის უსაფრთხოებას რუსეთი, თუ არა არქტიკის რეგიონში. იგივე შეგვიძლია ვთქვათ პირიქით, ნატოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე. რაც უფრო ახლოს იქნება მოწინააღმდეგის შეიარაღება, მით უფრო რთული იქნება მისი შეკავება.

რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეიარაღებული რბოლა გრძელდება, რაც ზრდის არქტიკის გეოსტრატეგიულ დანიშნულებას, ვინაიდან გეოგრაფიული ფაქტორები განსაზღვრავენ შეიარაღებული ძალების ტაქტიკურ პოზიციას.

პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-ტექნოლოგიური და სამხედრო ხასიათის ფაქტორთა ერთობლიობა საერთო ჯამში ქმნის არქტიკის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას.

თემაში განვიხილეთ არქტიკის რეგიონში არსებული დაუსახლებელი ჰანსის კუნძულის მაგალითი, რომელსაც არანაირი სასარგებლო წიაღისებული არ გააჩნია, არ არის ისეთი ტერიტორია საიდანაც შესაძლოა რაიმე სარგებელი ნახოს რომელიმე ქვეყანამ, მაგრამ ორი სახელმწიფო, დანია და კანადა, უკვე მრავალი წელია არ თმობს პოზიციებს. შესაბამისად შეუძლებელია იმის თქმა, რომ თავად არქტიკის რეგიონი, რომელიც ამ რაოდენობით სასარგებლო წიაღისეულს, მტკნარი წყლის, თევზის რესურსებს ფლობს, აქვს საზღვაოსნო ვაჭრობისა და გადაზიდვების უდიდესი პოტენციალი, აქვს ამდენად მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობა, არ გახდეს დაპირისპირების მიზეზი.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიც და ამერიკის შეერთებული შტატებიც, შეთანხმებულად მოქმედებენ არქტიკის რეგიონთან მიმართებაში არ ნიშნავს, რომ კონფლიქტი არ არსებობს. ის რომ დაპირისპირებას უნდა ველოდოთ ეს ცალსახაა, საკითხავია მხოლოდ ისაა, როდის გახდება ეს დაპირისპირება ღია.

მანამ, სანამ გეოპოლიტიკური მდგომარეობა არ შეიცვლება და ამერიკის შეერთებული შტატები ან რუსეთი არ დასუსტდება, მანამდე მდგომარეობა იქნება სტაბილური. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფო, მაგალითად ჩინეთი, იმ დონემდე მოძლიერდება, რომ კონკურენციის გაწევას შეძლებს ამერიკის ან რუსეთისათვის, ეს ორი ქვეყანა აუცილებლად ერთობლივ ძალებს მიმართავს მის დასასუსტებლად. ამიტომ შეერთებულ შტატებსაც და რუსეთსაც , ისევე როგორც სხვა არქტიკული რკალის ქვეყნებს, დიდი სიფრთხილე მართებთ როგორც სტრატეგიული პარტნიორის, ისე სატელიტი ქვეყნების არჩევისას, ვინაიდან ნებისმიერი მცდარი ნაბიჯი შესაძლოა სასიცოცხლო მნიშვნელობის აღმოჩნდეს.

არქტიკის დაპირისპირების ობიექტად განხილვისას აუცილებელია განვმარტოთ, რომ საქმე გვაქვს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის არსებულ კონფლიქტთან, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო და სხვა კონფლიქტებს. მას თავისი გამოვლენის მიხედვით შეიძლება ვუწოდოთ ნაწილობრივ ფარული კონფლიქტი. განვითარების ამ ეტაპზე აღნიშნული კონფლიქტი არის კონსტრუქციული, რადგან დაპირისპირებული მხარეები ცილობენ სხვადასხვა მიმართულებით საერთო ენის გამონახვას, მაგრამ სამომავლოდ, თუ კი კონფლიქტის რომელიმე ძირითადი მხარე დასუსტდება, დისპუტი აუცილებლად დესტრუქციულ სახეს მიიღებს. იმავე ლოგიკით არქტიკის რეგიონში არსებული დაპირისპირება დაბალ ინტენსიურიდან სამომავლოდ გადაიზრდება მაღალი ინტენსივობის კონფლიქტში იმ შემთხვევაში, თუ ძალთა ბალანსი დაირღვევა.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე, ზ. (2009). *ცივი ომი-წარსული თუ დღევანდელობა.* თბილისი.

ჯორბენაძე, რ. (2001). *პოლიტიკური კონფლიქტების მართვა.* თბილისი: "მეცნიერება|.

(თ. გ.).

arctic-council.org. (2015 წლის 10 September). დაბრუნებული https://arctic-council.org/index.php/en/about-us/member-states-დან

Bender, J. (2016 წლის 10 Jan). *www.businessinsider.com*. დაბრუნებული http://www.businessinsider.com/canada-and-denmark-whiskey-war-over-hans-island-2016-1-დან

Chen Junsong, 陈. (2017 წლის 16 06). *inosmi.ru.* დაბრუნებული https://inosmi.ru/politic/20170616/239601801.html-დან

Connolly, G. e. (May 3, 2017). *NATO And Security in the Arctic.* NATO Parliamentary Assembly.

Day, W. (2010 წლის 23 september). *premier.gov.ru*. დაბრუნებული http://archive.premier.gov.ru/eng/events/news/12304/-დან

Depledge, D. (2015 წლის 24 June). *www.worldpolicy.org*. დაბრუნებული https://worldpolicy.org/2015/06/24/the-european-union-in-the-arctic/-დან

Dobriansky, P. J. (2018). A Cold War in the Arctic Circle.

eurasianetwork. (2016 წლის 24 November). *www.eurasianetwork.eu*. დაბრუნებული https://eurasianetwork.eu/2016/11/24/yamal-lng-and-the-global-energy-transformation/-დან

Gérard Duhaime and Andrée Caron. (თ. გ.). *The economy of the circumpolar Arctic.*

Hammond, J. (2017 წლის 08 march). *www.thediplomat.com*. დაბრუნებული https://thediplomat.com/2017/03/interview-with-japans-arctic-ambassador/-დან

Hoag, H. (2017 წლის 1 dec). *http://www.sciencemag.org/*. დაბრუნებული http://www.sciencemag.org/news/2017/12/nations-agree-ban-fishing-arctic-ocean-least-16-years-დან

Hønneland, G. (2016). *Russia and the Arctic: Environment, Identity and Foreign Policy.* London*New Your: I.B Tauris & Co. LTD.

(2013 წლის 10 June). *India and the Arctic.* Ministry of External Affairs, Government of India.

Institute, T. A. (2013). *www.thearcticinstitute.org*. დაბრუნებული https://www.thearcticinstitute.org/countries/south-korea/-დან

Juha Käpylä & Harri Mikkola. (2015). *ON ARCTIC EXCEPTIONALISM.* FIIA Working Paper 85.

Lasserre, F. (2010). *China and the Arctic.* Canadian International Council.

Mackinder, H. J. ((Apr., 1904),). The Geographical Pivot of History . *The Geographical Journal Vol. 23, No. 4* , 421-437. .

Matters. (June 2015). Economic Potential . *Report N24* , 21 .

Michael Walling. (თ. გ.). *World War II Database.* დაბრუნებული https://ww2db.com/battle_spec.php?battle_id=298-დან

South China Morning Post. (2016 წლის 25 April). *www.scmp.com/*. დაბრუნებული https://www.scmp.com/news/china/diplomacy-defence/article/1938382/china-japan-south-korea-hold-talks-arctic-region-დან

The Kremlin's Arctic Dreams. (n.d.). 22.

Джерелиевский, Б. (2018 წლის 28 June). *www.topwar.ru*. დაბრუნებული https://topwar.ru/143602-bolshaya-igra-sredi-aysbergov.html-დან

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Bekurashvily

Geostrategic aspects of a New Cold War – fight for the Arctic.

Master Program in Conflicts Analysis and Management of the Faculty of Social and Political Sciences

Master's thesis is done to gain master's degree in Master of Arts in Conflictology

supervisors: Vakhtang Maisaia

Doctor of Political Sciences

Tbilisi, 2018